






# სიყვარული არასოდეს ბერდება...

## საპატრიარქო წლების წინ დაქორწინებულ წყვილებს ჯვრისწერას სთავაზობს



ჯვარდაუნწერილ წყვილებს საპატრიარქო საყოველთაო ჯვრისწერაში მონაწილეობას სთავაზობს. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს.

„როგორც ცნობილია, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული „ჩოხოსანთა საზოგადოების“ ორგანიზებით დაიწყო საყოველთაო ჯვრისწერები, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.“

ჯვარდაუნწერილ წყვილებს სამების საპატრიარქო ტაძარში დალოცავს მისი უწმინდესობა, მათ კი, რომელთაც თბილისში არ შეუძლიათ ჩამოსვლა, — ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

შეგნიშნავთ, რომ აღნიშნული ეხებათ მხოლოდ იმ წყვილებს, რომელთაც წლების წინ შექმნეს ოჯახი, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო დღემდე არ არიან ჯვარდაუნწერილი.

ქორწინების საიდუმლოება ძალიან ღრმაა და უმნიშვნელოვანესი ადამიანის ცხოვრებაში. ჯვრისწერით წყვილი გამოხატავს მზაობას, გაერთიანდნენ ქრისტეს წმინდა ეკლესიაში და ერთობით ისწრაფონ სასუფევლისაკენ.

ოჯახი რომ იყოს მტკიცე და სიყვარული არ განეღმეოს, აუცილებელია, მეუღლეები შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში წირვა-ლოცვაზე მობრძანდნენ და აღსარებისა და ზიარების საიდუმლოებებში მიიღონ მონაწილეობა, რათა მოიხვეჭონ სულიწმინდის მადლი.

ღმერთის შეწევნა არ მოაკლდეთ ჩვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს“.

# „საქართველომ და უკრაინამ შეასრულეს პირობები და ვიზალიზირებულა სიახლე პოლიტიკა“



— ამის შესახებ ბრიუსელში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დაწყებამდე, ევროპის სა-მეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა განაცხადა.

ამასთან, მისივე თქმით, ევროკომისიას შეუძლია, მხოლოდ მოუწოდოს წევრ ქვეყნებს პროცესის დაჩქარებისკენ.

„მე კვლავ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჯერ კიდევ ნოემბერია, ამიტომ დეკემბერში პროცესის დასრულების შესაძლებლობა არსებობს. ერთადერთი მიზეზი ამ პროცესის გაჭიანურების არის ის, რომ საჭიროა ევროკავშირისა და ევროპარლამენტის შორის შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა“, — აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

# იან კელი: იმედი გვაქვს, საქართველოს მხარდაჭერა გაგრძელდება



კვლავ ფოკუსირებული ვარ საქართველოს მხარდაჭერაზე და გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგების საკითხზე კომენტარებისას. მისი თქმით, ამერიკის მხრიდან არის საქართველოს მხარდაჭერა და ამას ადასტურებს კონგრესის გადაწყვეტილებები საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ.

„კარგია ის ფაქტი, რომ ამერიკის მხრიდან არის საქართველოს მხარდაჭერა და ამას ადასტურებს კონგრესის გადაწყვეტილებები საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ“, — განაცხადა იან კელიმ. რაც შეეხება მედიის თავისუფლების საკითხს, კელი აცხადებს, რომ სიტყვისა და მედიის თავისუფლება არ შეიცვლება.

„ველოდები ახლა უკვე გადაბარების პროცესს. ამ კვირაში იქნება სამუშაო შეხვედრები ამასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ის მხარდაჭერა, რაც ჰქონდა საქართველოს, გაგრძელდება. სიტყვისა და მედიის თავისუფლება არ შეცვლილა 240 წლის მანძილზე და ეს არ შეიცვლება. ეს არის ძირითადი ნაწილი კონსტიტუციის, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება და, რა თქმა უნდა, ეს ვერ შეიცვლება. ასეთი სახის გადაწყვეტილება, რომ ვთქვათ შეიზღუდოს სიტყვის, თუ გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, არ მოხდება“, — განაცხადა იან კელიმ.



# ადამიანის უფლებათა დაცვისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარების ვინაობა ცნობილია

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, მას შემდეგ, რაც მანანა კობახიძემ მის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა, სოფო კილაძე უხელმძღვანელებს. სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კი ლარი სხაბლაძე იქნება.

# წინასწარი განწყობით, იქნება ორი ფრაქცია

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ირმა ნადირაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მომავალ პარლამენტში, სავარაუდოდ, ორი ფრაქციით იქნება წარმოდგენილი. ნადირაშვილის თქმით, ზუსტი კონფიგურა-

ცია პარტიის ლიდერების შეკრების შემდეგ გახდება ცნობილი.

„წინასწარი განწყობით, იქნება ორი ფრაქცია, მაგრამ ეს საკითხიც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. გადაწყვეტილია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს, გამოიყენოს თავისი კვლევითი კომიტეტები, დელეგაციებში იმისთვის, რომ ყველა საპარლამენტო ბერკეტი ავამუშავოთ ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ“, — განაცხადა ნადირაშვილმა.

# საკაშვილი „ნმ-ს“ არ დათმობს!

მძსპრტ ვახტანგ ძაბრიძის აზრით, მიხეილ სააკაშვილმა იცის, რომ თუ ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, ისევე ქუჩიდან უნდა მოვიდეს, რადგან სხვა მხრივ, საქართველოს მთავრობაში ვერ მოვა. მისივე თქმით, სააკაშვილი ორ ფრონტზე იბრძვის, რაც ძალიან რთულია, თუმცა ექსპერტი ფიქრობს, რომ სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერობას არ დათმობს.



„მე არ მგონია, რომ სააკაშვილს დიდი პოლიტიკური პერსპექტივა ჰქონდეს გინდ უკრაინაში, გინდ საქართველოში. დაველოდოთ პროცესს, რაც „ნაციონალური მოძრაობაში“ განვითარდება. სააკაშვილმა ბრძანა, რომ თუკი საქართველოს გადმოსცემენ, ერთ კვირაში გათავისუფლდება. მეფიქვება, რომ ერთ კვირაში გამოვიდეს ციხიდან — უმჯობესია, გაიხსნოს საქართველოს ისტორია, 600 000 კაცი რომ უჭერს მხარს, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს და ისიც გასარკვევია, ეს 600 000 კაცი მხარს მას უჭერს თუ არა. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიყოფა, ალბათ, სააკაშვილი დარჩება იმ ჯგუფის ლიდერად, რომელიც მუდმივად რევოლუციისკენ იქნება მიმართული“, — განაცხადა ვახტანგ ძაბრიძემ.

# რუსი ბიზნესმენები საქართველოში



საქართველოში ორდღიანი ვიზიტით რუსი ბიზნესმენები იმყოფებიან. რუსეთისა და საქართველოს ბიზნესრეგების წარმომადგენლების შეხვედრა უკვე გაიმართა.

რუსი ბიზნესმენების განცხადებით, ისინი დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობით, ასევე სატრანსპორტო და ჯანდაცვის სფეროებით. მათივე თქმით, ორმხრივი შეხვედრების დროს, ისინი მსჯელობენ სექტორული თანამშრომლობის გაღრმავებაზე. რუსული კომპანიების წარმომადგენელთა ნაწილი იმედს გამოთქვამს, რომ ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სახელისუფლებო წრეებთან შეხვედრასაც შეძლებენ.

„საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ვიმყოფებით. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება, რადგან წლების სიყვარული და რუსეთ-საქართველოს შორის დიდი ხნის ურთიერთობები ყოველთვის არსებობდა, ბიზნესის სრულფასოვანი კეთებისთვის ოფიციალური ურთიერთობები არ გვყოფნის. იმედი გვაქვს, რომ ურთიერთობები გაღრმავდება და გაგრძელდება“ — განაცხადა რუსეთის ინოვაციური განვითარების ასოციაციის დირექტორმა მარინა შიჩინამ.

# ოქტომბერში ნაპოვარკოქტების იმპორტი გაიზარდა

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის სანავაგი) იმპორტმა 115,6 ათასი ტონა შეადგინა, რაც 19,5 ათასი ტონით აღემატება სექტემბრის თვის მაჩვენებელს. მათ შორის, ბენზინის სანავაგის იმპორტმა შეადგინა 56,7 ათასი ტონა კვლავ 0,8 ათასი ტონით), ხოლო დიზელის სანავაგის იმპორტმა — 58,9 (მატება 20,3 ათასი ტონით) ათასი ტონა.


ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, სანავაგის კატეგორიების მიხედვით 2016 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოში ბენზინის სანავაგის იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარი მარკის ბენზინი — 38,8 ათასი ტონა ანუ 68,4%; A-95 პრემიუმი მარკის ბენზინი — 16,8 ათასი ტონა ანუ 29,6%, A-98 სუპერი მარკის ბენზინი — 1,1 ათასი ტონა ანუ 2,0%. ხოლო დიზელის სანავაგის იმპორტმა კატეგორიების მიხედვით მ/წლის ოქტომბრის თვეში შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) — 52,5 ათასი ტონა ანუ 89,1%, L-62 დიზელის სანავაგი — 6,4 ათასი ტონა ანუ 10,9%. ქვეყნების მიხედვით 2016 წლის ოქტომბერში ბენზინისა და დიზელის სანავაგის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან — 25,6 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 22,2%-ს შეადგენს.

აქვე უნდა შევეხეთ სხვა ნავთობპროდუქტების იმპორტის მონაცემებსაც: მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 6,5 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რაც 4,1 ათასი ტონით ნაკლებია სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით. სულ 2016 წლის 10 თვის განმავლობაში ბიტუმის იმპორტმა შეადგინა 91,8 ათასი ტონა. ოქტომბერში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 1,4 ათასი ტონა, რაც 0,4 ათასი ტონით ნაკლებია სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით. 2016 წლის ოქტომბერში საქართველოში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 7,8 ათასი ტონა, რაც 0,9 ათასი ტონით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, — აღნიშნულია ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პირველი კალაპოტი ფორმირება

მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოები დასრულდა. ადგილზე თბილისის მერი დავით ნარმანია კეთილმოწყობის სამსახურის უფროს გივი კუბლაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბის გამზირზე ვერეს კალაპოტის ფორმირების პროექტის მიხედვით, მდინარის ნაპირზე დამბა, დამბის წინა მხარეს კი ბეტონის დამცავი საფარი მოეწყო. მზიურის მიმდებარე გაგანიერდა ვერეს კალაპოტი, დასრულდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კედლის აგება და მდინარის წყლის შემშვებ-გამომშვები, 500 მ-იანი მილების მოწყობა. თბილისის მერის განცხადებით, ვერეს ხეობაში, პრევენციის მიზნით, კიდევ რამდენიმე პროექტი განხორციელდება. მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების პირველი ეტაპისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 558 000 ლარამდე დაიხარჯა.





ვანი ჩვენი ბრალი...

უმაღლესი სასწავლებლები უმაღლესი განათლებით!!!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა იმ კურსდამთავრებულთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები, რომლებმაც აუდიტისთვის შერჩეულ სამ უმაღლეს სასწავლებელში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - მოიპოვეს ბაკალავრის ხარისხი. ანალიზმა გამოავლინა, რომ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა 64 %-მა სწავლა საშუალოზე დაბალი აკადემიური მაჩვენებლით დაასრულა. განსაკუთრებით საგულესიმოა, რომ საშუალოზე დაბალი აკადემიური მაჩვენებლით დაასრულა საბაკალავრო პროგრამები იმ კურსდამთავრებულთა საშუალოდ 40 %-მა, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები ჰქონდათ. საშუალოზე დაბალი ასევე შერჩეული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების შეფასებების 67%. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ დაკვირვების ჩატარების დღეებში შერჩეულ ლექცია/სემინარებზე დასწრების საერთო მაჩვენებელი 15 % იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ის წინაპირობები, რომლებიც სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლების შედეგებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაციას უნდა უქმნიდეს. კერძოდ, აუდიტის შესწავლის საგანი იყო სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული დახმარების სერვისები და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

იქიდან გამომდინარე, რომ არსებული სტემის პირობებში სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების შენარჩუნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში სტუდენტისგან არანაირ დამატებით ძალისხმევას არ მოითხოვს, სტუდენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური წარმატება. სტუდენტების მოტივაციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შექმნას პროფესიულ პროგრესზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესს. ამისთვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუდმივად უნდა იზრუნონ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე სრულფასოვანი ინფორმაციის (უკუკავშირის) მიღებასა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების ისეთი სტემა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დაფინანსებულ სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას, შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური წარმატება და სრულად მიაღწიონ საგანმანათლებლო პროგრამებით დასახულ სწავლების შედეგებს. ამგვარი მიდგომა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობას მისცემს, გაზარდოს მოტივირებულ სტუდენტთა რაოდენობა.

„გაიყვანი საქართველო“ ბრძოლა

ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პროექტს „გაიყვანი საქართველო“ აგრძელებს. მედიის 30-მდე წარმომადგენელი კახეთის რეგიონს კიდევ ერთხელ ეწვია. ჟურნალისტებმა წინადადებები გააკეთეს საგარეო მუზეუმში, ინგლისელი მებლის მიერ მე-19 საუკუნეში აშენებული დასახლებული პარკი და სიყვარულის ხეივანი და ათვალიერეს, თელავში ირაკლი შიოშვილის ოჯახში ჭაჭის გამოხდის რიტუალს „ზავოდობას“ დაესწრნენ და კომპანია „შუმის“ ღვინის მუზეუმს ეწვივნენ, სადაც ერთ-ერთი ექსპონატი 6000 წლისაა. ჟურნალისტებმა ასევე ადგილობრივი კერძების მომზადებაში

მიიღეს მონაწილეობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვადის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ რთული დასრულებულია, კახეთი ტურიზმისთვის გვიანი შემოდგომის პერიოდშიც ძალიან საინტერესო და მიმზიდველი რეგიონია. წელს ჟურნალისტები „გაიყვანი საქართველო“ მე-13 ტურში იმყოფებოდნენ. პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.



შურნალისტი წინადადებას გვთავაზობს!

პარლამენტის შენობა და მისი პარსუპტივები

საზრანგაში „ლურჯი“ ინონებს თავს, რუსეთი „ერმიტაჟით“. ისეთი ქვეყანა ვერ წარმოიმდგენია, ხელოვნების მუზეუმი არ ჰქონდეს. ჩვენც გვაქვს ასეთი მუზეუმი, მაგრამ დიდი ხანია, გვესმის, რომ მუზეუმის ჭერიდან წყალი ჩამოდის, უძვირფასესი ექსპონატები ნადგურდება და ა.შ. წლების წინათ ხელოვნების მუზეუმს ახალი ნაგებობა მიუშენეს, მაგრამ ამ ნაგებობამ ვერც გარეგნულად დაიმსახურა მონონება და ვერც საგამოფენო სივრცით. მასსოვს, მშენებლობის დასრულებისთანავე გავრცელდა ხმები, შენობა უვარგისი, ნესტიანი და სურათების გამოსაფენად გამოუსადეგარიყო. დღემდე ამ მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიწის ნაკვეთიდან მრავალი ნელია გასული. გარეგნულადაც ვერ ივარგა, იმიტომ რომ არქიტექტურულად ვერ შეერწყა ერთმანეთს ძველი და ახალი ნაგებობა. არადა, ამ ორ შენობას უნდა შეექმნა ანსამბლი, ერთმანეთს უნდა შერწყმოდა, როგორც ერთი მთელი. ოპერის თეატრის რესტავრაცია ბევრს ეხსოვება. ძველ შენობას ბევრი რამ მიემატა, გაიზარდა თეატრის მოცულობა, მაგრამ ეტყობა რამე? მნახველს ჰგონია, ძველი უცვლელად აღადგინეს. ეს არის ნიჭიერად შესრულებული სამუშაო. ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებით კი ასე არ მოხდა. ჩემი აზრით, არის თბილისში დიდებული შენობა, ზედგამოჭრილი ხელოვნების მუზეუმისთვის, პრესტიჟულ, ხალხმრავალ ადგილზე წამოჭიმული და დღეისათვის უფუნქციოდ დარჩენილი. პარლამენტის ყოფილ შენობაზე მოგახსენებთ. სერიოზული რეკონსტრუქციის შემდეგ, ამაზე შესაფერისი ხელოვნების მუზეუმისთვის სხვა რომელი უნდა იყოს? გავითვალისწინოთ ისიც, რომ პარლამენტის ყო-



ფილი შენობის წინ, დამწვარი „მხატვრის სახლის“ ადგილზე დგას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შესანიშნავი შენობა. ჰოდა, გვექნება ერთი სამუზეუმი კომპლექსი. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ არა ვარ მომხრე პარლამენტის ქუთაისში დატოვების. ეს ზედმეტი ხარჯება ქვეყნისთვის და სხვა მხრივაც არ არის გამართლებული პარლამენტარების იქით-აქეთ ნანწალი „შპიტოს“ ცირკით. ვფიქრობ, თბილისში დაბრუნებული პარლამენტი მშვენივრად მოთავსდება ან პრეზიდენტის რეზიდენციაში ან მთავრობის კანცელარიის შენობაში. შესაბამისად, კანცელარია - პრეზიდენტის რეზიდენციაში, პრეზიდენტი კი ათონელის ქუჩაზე. ისე კაცმა რომ თქვას, მიზეზთა გამო პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთოდ გასაუქმებელი მგონია, მაგრამ ეს სხვა თემაა. ამ ბოლო დროს პრესითა და ტელევიზიით ხშირად არის საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ხელოვნების მუზეუმი ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს. შენობის რეკონსტრუქციას მილიონები დასჭირდება, პრობლემა კი მინც არ იქნება გადანყვითილი. პრობლემის მოგვარება შესაძლოა, იმ იდეის განხორციელებაში იყოს, რაზეც ზემოთ შევანერგე მკითხველის ყურადღება. ვიფიქროთ, იქნებ ასე უმჯობესი იყოს.



ზინა ბელანავა

ალიარება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მიღწეული წარმატებებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა:

- 1. მეცნ. დოქტ. ლევან ბრეგაძე - ლიტერატურის დარგში (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება);
2. აკად. ნევერ-კორ. ირაკლი იმედაძე - ფსიქოლოგიის დარგში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება);
3. აკად. დოქტ. ვეგენი კიზირია - ფიზიკის დარგში (მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება);
4. აკად. დოქტორი რომან მამულაძე - ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია);
5. პროფ. კიტი მაჩაბელი - ხელოვნებათმცოდნეობის დარგში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება);
6. აკად. ნევერ-კორ. გიორგი ნახუცრიშვილი - ბოტანიკის დარგში (ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება);
7. მეცნ. დოქტ. მიხეილ ოკუჯავა - მედიცინის დარგში (ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება);
8. პროფ. ზაზა ოსმანოვი - ფიზიკის დარგში (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი);
9. პროფ. ავთანდილ ოქროსცვარიძე - გეოლოგიის დარგში (დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება);
10. პროფ. ოთარ ჟორდანიანი - ისტორიის დარგში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება);
11. პროფ. თეიმურაზ სურგულაძე - მათემატიკის დარგში (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
12. აკად. დოქტ. გრიგოლ ტატიშვილი - ელექტროქიმიის დარგში (ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება);
13. პროფ. მამია ფაღავა - ფილოლოგიის დარგში (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
14. ასისტენტ-პროფესორი ია ფიფია - ბიოლოგიის დარგში (თბილისის აგრარული უნივერსიტეტი);
15. მეცნ. დოქტ. გელა ლილივაშვილი - ქვეყნის მინის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეში (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება);
16. პროფ. სერგო შავგულიძე - ტელეკომუნიკაციის დარგში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);
17. აკად. გიორგი ჩაგელიშვილი - ფიზიკის დარგში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი);
18. აკად. დოქტ. დავით ჩიჩუა - მეღვინეობა-მევენახეობის დარგში (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება);
19. პროფ. ლევან ჩხარტიშვილი - ნანოტექნოლოგიების დარგში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);
20. აკად. ბეჟან ჭანკვეტაძე - ქიმიის დარგში (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი);
21. პროფ. როინ ჭიკაძე - ფილოლოგიის დარგში (თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
22. აკად. ნანა ხაზარაძე - ისტორიის დარგში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება);
23. პროფ. თეიმურაზ ჯანგველაძე - მათემატიკის დარგში (მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება);
24. მეცნ. დოქტ. ნონა ჯანიკაშვილი - ინოვაციური იმუნოთერაპიის დარგში (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი);
25. აკად. ნევერ-კორ. ლევან ჯაფარიძე - სამთო მექანიკის დარგში (გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება).





# აჭარა სააკაშვილის მიერ გამოუცხადებული კონსტიტუციით სსრკ-ს

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიმართ

**ბატონო ბიორბი!**

მინდა, დაგიდასტუროთ ჩემი დიდი მოკრძალება და ღრმა პატივისცემა, როგორც ჩემი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურსა და განხორციელებულ პიროვნებას. ასევე მინდა განმეორებით გადაგიხადოთ ჩემი წილი მადლობა ჩემს მშობლიურ მხარეში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ ღირსეული პიროვნების მოვლინებისათვის.

ახლა ძალიან მოკლედ იმის შესახებ, რისთვისაც კალამი ავიღე ხელში. თქვენ ნამდვილად არ გესწავლება, რომ ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფო წარმონაქმნი და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ფუნქციები გააჩნია. მინდა, გაუწყოთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა სააკაშვილისა და მისი გახრწნილი რეჟიმის მიერ გამოუცხადებული კონსტიტუციით ცხოვრობს და ვერ ასრულებს სრულყოფილად იმ ფუნქციას, რაც საქართველოს კონსტიტუციით ეკისრება. ეს განსაკუთრებული თვალსაზრისით სააკაშვილ-ვარშალომიდის რეჟიმის დროს გამოვლინდა. დღეს არავისთვის უცხო აღარაა, რომ ლევან ვარშალომიდის მარიონეტული მთავრობა, ფაქტობრივად, დე იურე იყო და დე ფაქტო მმართველი თავად სააკაშვილი გახლდათ. 2012 წლიდან, რაც არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მის მიერ აჭარაში მოყვანილ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. არჩილ ხაბაძის უსუსურმა და უპრინციპო მმართველობამ ვერ შეძლო ვარშალომიდის ხელისუფლების მანვე შედეგების აღმოფხვრა. მაგალითად, იმერეთის გუბერნატორს სამი მოადგილე ჰყავს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს – არცერთი. როგორც იტყვიან, ეს სრული ნონსენსია. ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ თავად სააკაშვილი იყო აჭარის დე ფაქტო მმართველი და მისი მონა-მორჩილი ვარშალომიდის გარდა, აჭარის მთავრობის ფუნქციების გადანაწილება სხვა პირებზე არ აწყობდა. მე ეს საკითხი არაერთხელ დავაყენე 2012 წელს არჩეული პარლამენტის წევრებთან, პირადად ვესაუბრე პარლამენტის სპიკერს დავით უსუფაშვილს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამ საკითხის პარლამენტში უბრალოდ დასმაც კი. სიმართლის გულისთვის ვიტყვი, რომ არც აჭარიდან საქართველოს პარლამენტში ახლად არჩეული დეპუტატების იმედი მაქვს.

ამიტომაც გთხოვთ, ავტონომიური რესპუბლიკის ფორმირების დროს, გაითვალისწინოთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2 მოადგილე მინიც: ჩემი ფიქრით და არა მარტო ჩემი, ეს უნდა იყოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების დარგებისა და მეორეც – ეკონომიკისა და სოციალური საკითხების სფერო.


ვფიქრობ, არავისთვის უცხო არ არის ისიც, რომ საქართველოს მთავრობაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სულ ცოტა ერთი ადგილი მაინც ეკუთვნის. მაშინ, როცა ფართოდ არიან წარმოდგენილი სხვა რეგიონები, აჭარამ რა დააშავა?! გთხოვთ, ჩვენი ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირების დროს, გა-

თხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის საქართველოს მთავრობის წევრად ავტომატურად შეყვანის საკითხი. მართალია, ბატონ ზურაბს არ აკლია ავტორიტეტი და პრინციპულობა, მაგრამ ცენტრალური მთავრობის წევრობა უფრო ქმედითუნარიანს გახდის აჭარაში მის მოღვაწეობას და ხელს შეუწყობს პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტას.

რაც შემეხება მე, კვლავაც დავშეუბი „ქართული ოცნებისა“ და საქართველოში სალი აზრის გამარჯვებისთვის. საქართველოში უნდა დაიმსხვრეს და ამოიძირკვოს სააკაშვილისა და მისი ნაცმოძრაობის მიერ დამკვიდრებული მმართველობის მანვე სტერეოტიპები. ამ სტერეოტიპებით ყველაზე უფრო აჭარაა დაზარალებული. ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილის გახრწნილმა რეჟიმმა 8 ოქტომბერს არჩევნებში სხვა რეგიონებთან შედარებით, აქ ყველაზე მეტი ხმები მიიღო. დროა, აჭარაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ახლა მაინც გაინმინდოს სააკაშვილ-ვარშალომიდის ხელდასხმული კადრებისაგან, რომლებსაც ოთხ წელიწადს ხელს აფარებდნენ არჩილ ხაბაძე და ავთანდილ ბერიძე.

თქვენი გულისხმიერების რწმენით, იმედითა და პატივისცემით

**შოთა ზოიძე,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.  
14 ნოემბერი, 2016 წ.



# ბათუმში, მნარკალთა განსახლებულ სსრკ-ში...



უკვე აღარ ეცალათ, გასაქცევად ემზადებოდნენ.

2013 წლის 13 მაისს (რა დამავინყებს ამ დღეს) ბათუმში მოღვაწე შემოქმედებით ინტელიგენციას მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეხვდა. საქმიანი საუბრის შემდეგ მან აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავკაცს, ბატონ დავით თედორაძეს დახმარება აღუთქვა შენობის განახლებაში და, როგორც სწვევია, სიტყვა საქმედ აქცია. საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ ზუსტად ექვს თვეში უნაკლოდ შეასრულა შენობის აღსადგენ-სარესტავრაციო სამუშაოები და დღეს თუ ქუჩაში გამგვლედი თვალს ვერ აშორებს

ამ ისტორიულ შენობას, ეს მათი დიდი დამსახურებაა. გულწრფელად ვიტყვი, შენობაში ყოფნა ადამიანს დიდ სულიერ სიამოვნებას ჰგვრის. ყველა ოთახი კოსტადაა შეკეთებული, ალჭურვილია უახლესი ტექნიკით და განწყობილია თანამედროვე ავეჯით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მწერალთა ორგანიზაციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი ზურაბ პატარაძე. 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მწერალთა სახლის დაფინანსება, რაც უდავოდ ნაყოფიერს გახდის მწერალთა ორგანიზაციის მუშაობას.

ისიც მინდა ვთქვა, პატივცემულ მკითხველო, რომ ამ სასიხარულო ამბავს რომ გაამბობდით, გულში იმედის ნაპერწკალი მიღვიოდა – იქნებ მოვესწრო იმ დღეს, როდესაც თბილისში მწერლები დაუბრუნდებიან მაჩაბლის ქუჩაზე თავიანთ კუთვნილ, ისტორიულ შენობას.

# ზურაბ პატარაძე: ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი სიტრუსის სეზონი გვექნება

ძმართული ციტრუსი ახალ ბაზრებზე გავა. როგორც აჭარის მთავრობის მეთაური ზურაბ პატარაძე აცხადებს, სამიზნე ქვეყნებს დაემატა ბალტიისპირეთისა და შუა აზიის ქვეყნები.

**სახელმწიფო მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ფერმერებს სეზონის წარმატებით დასრულებაში.** ძალიან კარგი სიხალეები გვაქვს. მათ შორის ისიც, რომ აჭარაში გამართება ციტრუსის ფესტივალი, რაც აქამდე არასოდეს ყოფილა. ეს ტურისტული მიმართულებისთვისაც მნიშვნელოვანია – განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე.



# 2017 წელს ბათუმში ახალი ნაძვის ხით შეხვდება

2017 წელს ბათუმში ახალი ნაძვის ხით შეხვდება, პროცესს კი ტენდერის გზით შერჩეულია კომპანია „ჯეო სტრიმი“ უზრუნველყოფს. შესყიდვის ღირებულება კი 256 730 ლარია.

ბათუმის მერიასა და „ჯეო სტრიმს“ შორის ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. უკვე ცნობილია, რომ ახალი ნაძვის ხის გარდა, საახალწლო დღეებში ბათუმში დეკორატიული ანგელოზები, ირმები და თოვლის კაცებიც გამოჩნდებიან. ბათუმში ახალი ნაძვის ხე ტრადიციულად 25 დღეებზე დასაწყისად იანთება.

**თითქმის ნაკლებად ხალისიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგჯერ მაინც ხდება სასიამოვნო მოვლენები, რომლებიც საყოველთაო სიხარულის მომტანია. ის, რის შესახებაც მსურს გაზეთის მკითხველს მოვუთხოვო, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად გაახარებს ქვეყნის ყველა მოქირანახულს.**

ამ რამდენიმე დღის წინათ ვენციე ჩემთვის საყვარელ და მშობლიურ დანესებულებას, რომელსაც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია ჰქვია. აქ წლების განმავლობაში უამრავი ადამიანი გავიცანი, ვისაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა და დღესდღეობითაც შეაქვს ქართული მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩას ამშვენებს ერთი უღამაზესი შენობა, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში, წარმოადგენს კულტურის ძეგლს და საყოველთაო ყურადღებას იწყობს, თუმცა კი წლებმა თავისი დალი დაასვა ამ ისტორიულ ნაგებობას. სულიერების მომსახურება წინა ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ მის აღზევებაზე ეზრუნა, ამ შესანიშნავი შენობის გაყიდვა დააპირა, მაგრამ არ დასცალდათ – ვერ მოასწრეს: 2012 წლის შემოდგომაზე ადგილობრივ ხელისუფალთ ამ შენობისთვის



ველთაო ყურადღებას იწყობს, თუმცა კი წლებმა თავისი დალი დაასვა ამ ისტორიულ ნაგებობას. სულიერების მომსახურება წინა ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ მის აღზევებაზე ეზრუნა, ამ შესანიშნავი შენობის გაყიდვა დააპირა, მაგრამ არ დასცალდათ – ვერ მოასწრეს: 2012 წლის შემოდგომაზე ადგილობრივ ხელისუფალთ ამ შენობისთვის





საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმული 2016 წლის საბიუჯეტო წინადადებაში მის დამოკიდებულებას გამოხატავს არის „სადაზღვეო“ შემფორთხება გასაგებია, რადგან მხოლოდ ოქტომბერში ლარი აშშ დოლართან დაეცა 7.92 პუნქტით (2.3297-დან 2.4089-მდე), ნოემბრის პირველ ნახევარში კი – კიდევ 8.10 პუნქტით (2.4899-მდე). ლარის დეველვაციით სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დისკომფორტი, მიუხედავად ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების ოპტიმისტური და დამამშვიდებელი განცხადებებისა, ნამდვილად არსებობს და ამიტომ საჭიროებს ადეკვატურ რეაგირებას, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივ მიზანმიმართულ ძალისხმევას.

ლარის დეველვაციის პრობლემატიკაში, სულ ცოტა, ორი ასპექტი მაინც უნდა გამოიყოს: ა) ლარის გაუფასურების მიზეზები; ბ) ლარის გაუფასურების გავლენა მოსახლეობის მდგომარეობაზე.

ლარის გაუფასურების მიზეზები, თავის მხრივ, შეიძლება დაყოფილი იქნას ორი ნაწილად: ობიექტურად და სუბიექტურად.

ლარის გაუფასურების ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, ექსპორტის და საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შემცირება, ფულადი გზავნილების არასაკმარისი დონე, აშშ დოლარის პოზიციების გამყარება საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე...

სუბიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების მოკლევადიანი სესხების კომერციული ბანკებისათვის მიწოდება და მიმოქცევაში ლარის მასის მნიშვნელოვანი ზრდა (წინა წლის შესაბამისი თვისთან შედარებით 12.1%-ით, რაც იმავე პერიოდში ეკონომიკურ ზრდას 4-ჯერ და მეტად აღემატება).

ცალკე უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის საკონტროლო პაკეტი, ერთის გამოკლებით, უცხოელი რეზიდენტების ხელშია და საბანკო სექტორის წილიდან წლამდე მზარდი მოგება, ბუნებრივია, მათ ხელში ხვდება და დაუმრკოვლებლად გადის საქართველოდან. იმავეს თქმა შეიძლება საბანკო სექტორის გამსხვილების პროცესში ერთ ბანკის მიერ მეორის შთანთქმისა და ამ უკანასკნელის საქართველოს საკრედიტო ბაზრის დატოვების გამო საქართველოდან მრავალი ათეული მილიონი აშშ დოლარის გატანის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა, მოქმედი კანონმდებლობით, ფასებისა და არა ვალუტის კურსის სტაბილიზაციაა. პარლამენტის დამტკიცებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თანახმად, საქართველოში 2016 წლის მიზნობრივ ინფლაციად 5%-ია განსაზღვრული. წლის ბოლომდე მხოლოდ თვე-ნახევარი რჩება და სუბორცენტული ინფლაციის ნაცვლად 0.2-პროცენტული დეფლაცია გვაქვს. ამიტომაც, ეროვნულ ბანკს არავითარი ინსტიტუციური ინტერესი არ აქვს, რომ დეველვაციას, როგორც სამომხმარებლო ფასების პოტენციური მუხტის მატარებელ პროცესს, ხელი შეუშალოს და, შესაბამისად, ამისთვის ვერც პასუხს მოვთხოვთ...

მეორეს მხრივ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ლარი-დოლარის ცალკეული კურსი 2,40-ითაა განსაზღვრული. ეს კურსი, ფაქტობრივად, რომ მართლაც 2,40-ზე „დაჯდეს“, წლის ბოლომდე დარჩენილი 45 დღის განმავლობაში ლარი/დოლარის თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით 2,92 მაინც უნდა შეადგინოს. ამიტომ ინსტიტუციურად აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აწყობს ლარის ერთგვარი გაუფასურება, რადგან ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში ბიუჯეტში უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ხდება ქვეყნის შიდა ვალდებულებების გასტუმრებისთვის ესოდენ საჭირო სახსრების მობილიზება. გამოდის, რომ ქვეყნის ორ მთავარ ინსტიტუტს, რომელთაც ევალებათ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ამჟამინდელ პირობებში ინსტიტუციურად არც კი აწყობს ლარის გამყარება და შედეგად ქვეყანაში ვლებულობთ, გაბრიელ გარსია მარკესის ერთი ნოველის სახელწოდების პერიფრაზი რომ მოვხდინოთ, გამოუცხადებელი დეველვაციის ქრონიკას.

ახლოდღევანდელ განსხვავებული, შემფორთხებული დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას ლარის გაუფასურებისადმი – საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი, ადგილობრივი წარმოების სიმწირის გამო, მთლიანად იმპორტდამოკიდებულია – იქ რეალიზებული საქონლის მხოლოდ 30 პროცენტია ადგილობრივი წარმოების, ხოლო 70 პროცენტი იმპორტირებულია. თანაც, იმპორტის თანაფარდობა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან 55.4 პროცენტია, მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი, საქარ-



# (დო)ლარი ჩვენი მკვლავარაბი...

**საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა, მოქმედი კანონმდებლობით, ფასებისა და არა ვალუტის კურსის სტაბილურობაა.**

თველოსთან შედარებით, ჯერადად დაბალია. მაგალითად, აშშ-ში იმპორტის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს 12.4 პროცენტს, იაპონიაში – 13.7 პროცენტს, ისრაელში – 20.1 პროცენტს, რუსეთში – 22.8 პროცენტს, ნორვეგიაში – 23 პროცენტს, გერმანიაში – 27.3 პროცენტს, პოლონეთში – 40.6 პროცენტს... ამიტომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, ნაკლები სადარდებელი აქვთ იმაზე, თუ როგორი იქნება მათი ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან.

საქართველოს ეკონომიკაში, ზოგადად, დაბალია რეალური სექტორის წილი (ეკონომიკის დაახლოებით 1/3), რომელიც საექსპორტო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია. სუსტი ეკონომიკური ზრდა და ექსპორტის ტემპის უარყო-

ბებს „1990-იანი წლების“ სინდრომიც, რომლისგან საქართველოს მოქალაქეები ბოლომდე ვერ გათავისუფლებულან და რომ იტყვიან, „ძალის ნაკლები“ ახსოვთ. მაშინდელი დეველვაციის ფონზე ფასების ტოტალურ გაძვირებას გამოვლილ ადამიანებს აღარ უნდათ ძველი დროს გამოვლება და ამიტომაც რეაგირებენ ასე მტკივნეულად ლარის დეველვაციაზე, როგორც ფასების მატების რეალური მუხტის მატარებელ პროცესზე.

ლარის დეველვაცია სამომხმარებლო ფასების საერთო დონის შემცირების – დეფლაციის პარალელურად მიმდინარეობს. 2016 წლის ოქტომბერში წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით ფასების საერთო დონე შემცირდა, როგორც უკვე ითქვა, 0,2 პროცენტით. უკანასკნელად ასეთი მდგომარეობა – წინა წლის შესა-

ბული შაქრის ღირებულება არ გაიზარდა. მისი გამო, რომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების ბოლო 1.5-2. წლის მანძილზე სისტემატურად ეცემოდნენ აშშ დოლართან, ჩვენ დაგვეზოგა მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვები. მაგალითად, მარტო ერთი, 2015 წლის მანძილზე შემოტანილ ნავთობპროდუქტებზე გადავიხადეთ თითქმის 400 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო შემოტანილ სურსათში – დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის ფასებთან შედარებით. შედეგად მივიღეთ ფასების სტაბილურობა ლარის გაუფასურების (დეველვაციის) ფონზე. ამჟამად მსოფლიო ბაზარზე ფასების შემცირების რესურსი, ფაქტობრივად, ამონურულია და უახლეს პერიოდში საუბარი შეიძლება, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მათ შენარჩუნებაზე.

ერთი შეხედვით, თუ ლარის კურსის ვარდნას ყურადღებას არ მივამჩნევთ (რაც საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია...), სამომხმარებლო ბაზარზე თითქმის სრული შტილია – ფასები არ იზრდება. მაგრამ ლარის დეველვაცია მოსახლეობის კეთილდღეობას ურტყამს არა მარტო სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მოსალოდნელი გაძვირების მაღალი ალბათობით, არამედ საბანკო მომსახურების, კრედიტების გაძვირებითაც. საქართველოში სამომხმარებლო ფასები არ იზრდება იმიტომაც, რომ მოსახლეობის შემოსავლების სულ უფრო დიდი ნაწილი იხარჯება არა პროდუქციის შესაძენად, არამედ საბანკო სესხების მომსახურებისთვის. სამომხმარებლო კრედიტების 7/10-ზე მეტი ხომ უცხოურ ვალუტაშია გაცემული, მაშინ როდესაც შემოსავლების უდიდეს ნაწილს მოსახლეობა ლარში ღებულობს. ბოლო ერთ წელიწადში ფულის M2 აგრეგატის მატებასთან შედარებით შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა თითქმის ორჯერ, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები – თითქმის 4-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა. ასეთი რეკორდული მატების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლარის კურსის ვარდნის გამო, დოლარში აღებული კრედიტის ღირებულება ლარში და მისი შესაბამისი მომსახურება სულ უფრო ძვირდება. მაგრამ ეს გაძვირება ინფლაციის მაჩვენებელში, მოქმედი მეთოდის „წყაობით“, არ აისახება. შედეგად კი ვღებულობთ მდგომარეობას, რომლითაც 2016 წელს, 2012 წელთან შედარებით, შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა უცხოურ ვალუტაში მხოლოდ 1/3-ით გაზარდის პირობებში ლარში დენომინირებით (ლაბებში გადაყვანაში) თითქმის გაორმაგებულია. დღეს მოსახლეობას 2012 წელთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ უცხოურ ვალუტაში სასესხო განაკვეთები თითქმის 1/3-ითაა შემცირებული, მაინც 1.5-ჯერ უფრო მეტი თანხს გადახდა უნევს პროცენტის სახით. ეს იმ დროს, როდესაც შინამეურნეობათა ფულადი შემოსავლები ბოლო ოთხი წლის მანძილზე გაცილებით ნაკლებად, მხოლოდ 1.4-ჯერაა გაზარდილი.

მაგრამ რაც უფრო იზრდება შინამეურნეობათა ხარჯები საბანკო კრედიტების მომსახურებაზე, მით უფრო ნაკლები სახსრები რჩება შინამეურნეობას (სხვა თანაბარ პირობებში) სამომხმარებლო ხარჯების გასაწევად. ეკონომიკის კანონია, რომ თუ ბაზარზე მოთხოვნა მცირდება, ეს ხელს უწყობს ფასების საერთო დონის შემცირებას, ან, სულ ცოტა, სტაბილურობას. ამიტომ საქართველოს რეალობაში ფასების სტაბილურობა ან შემცირება „კარგი ცხოვრებით“ კი არაა გამოწვეული, არამედ სტაგნაციათა და მოსახლეობის სულ უფრო მზარდი ნაწილის გადახდისუნარიანი მოთხოვნის მასშტაბების შემცირებით.

ზოგადად, მოსახლეობის ერთიან ისტორიულ მესხიერებასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული განწყობილება, მისი შფოთიანობა გაცილებით ადეკვატურად ასახავს ეკონომიკის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და მის მოსალოდნელ ტენდენციებს, ვიდრე ამა თუ იმ ოჯი ციალურ პირთა და ექსპერტთა სუბიექტური შეფასებები და განცხადებები. კარგი იქნება, თუ კი საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ეროვნულ ბანკთან ერთად უფრო მეტად გაითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებს და ყველაფერს გააკეთებს არა მარტო ზოგადად „მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“, არამედ ლარის გაუფასურების გამო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური დისკომფორტის ნიველირებისათვის.

ზოგადად, მოსახლეობის ერთიან ისტორიულ მესხიერებასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული განწყობილება, მისი შფოთიანობა გაცილებით ადეკვატურად ასახავს ეკონომიკის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და მის მოსალოდნელ ტენდენციებს, ვიდრე ამა თუ იმ ოჯი ციალურ პირთა და ექსპერტთა სუბიექტური შეფასებები და განცხადებები. კარგი იქნება, თუ კი საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ეროვნულ ბანკთან ერთად უფრო მეტად გაითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებს და ყველაფერს გააკეთებს არა მარტო ზოგადად „მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“, არამედ ლარის გაუფასურების გამო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური დისკომფორტის ნიველირებისათვის.

**იოსებ არჩვაძე,**  
2016 წლის ნოემბერი

**ლარის დეველვაცია მოსახლეობის კეთილდღეობას ურტყამს არა მარტო სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მოსალოდნელი გაძვირების მაღალი ალბათობით, არამედ საბანკო მომსახურების, კრედიტების გაძვირებითაც. საქართველოში სამომხმარებლო ფასები არ იზრდება იმიტომაც, რომ მოსახლეობის შემოსავლების სულ უფრო დიდი ნაწილი იხარჯება არა პროდუქციის შესაძენად, არამედ საბანკო სესხების მომსახურებისთვის.**

ფითი სიდიდე (2016 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს ექსპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8 პროცენტით შემცირდა) ასევე იწვევს დამატებითი სახსრების გადინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ლარის დასუსტებას. მარტო აგრარული პროდუქციის ექსპორტი-იმპორტში უარყოფითი ყოველწლიური საღდო ნახევარ მილიარდ დოლარს აღემატება – 2015 წელს საქართველოში შემოვიტანეთ დაახლოებით 1.1 მილიარდი დოლარის აგრარული სათო საქონელი და გავიტანეთ მხოლოდ 0.6 მილიარდი დოლარის ანალოგიური პროდუქცია. მსგავსი ტენდენციები ნარჩუნდება მიმდინარე წელსაც. შესაბამისად, ქვეყანას, რომლის აგროსასურსათო საქონლის იმპორტი არ ჩამოუვარდება აგარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისათვის ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტის გატანა უნევს. მარტო ამ ასპექტით კითხვა (სხვებს რომ თავი დავანებოთ): „რატომ უფასურდება ლარი?“, უკვე დიდწილად პასუხაცემულია.

უნდა ითქვას, რომ წმინდა ობიექტური გარემოებების გარდა, საქართველოს მოსახლეობის წუხილს ლარის დეველვაციის გამო, განაპირო-

ბამის პერიოდთან შედარებით ფასების შემცირება მხოლოდ 3 წლის წინათ – 2013 წლის სექტემბერში მოხდა (მაშინ დეფლაციამ – 1.3 პროცენტი შეადგინა).

ის, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების პირობებში ფასების საერთო დონე შემცირებას განაგრძობს, რამდენიმე ახსნა აქვს, მიზეზები კი აქაც ძირითადად ორია – ეგზოგენური (საგარეო) და ენდოგენური (საშინაო).

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება მსოფლიო ბაზარზე საქონლის ფასების საერთო დონე და იმ ქვეყნების ვალუტების თანაფარდობა აშშ დოლართან, საიდანაც ჩვენ საქონლის იმპორტს ვახდენთ. ასე მაგალითად, უშუალოდ აშშ-დან საქონლის იმპორტის წილი საქართველოს მილიონ იმპორტში მხოლოდ 3.3 პროცენტია, მაშინ როდესაც აზერბაიჯანიდან იმპორტის წილი – 7 პროცენტს, ხოლო თურქეთიდან – 17.2 პროცენტს შეადგენს. ბუნებრივია, ფასებზე გავლენას ახდენს შესაბამისი საქონლის ძირითადი ვალუტების კურსი აშშ დოლართან. თუ მაგალითად, უკრაინიდან შემოგვაქვს შაქარი, ხოლო გრიენა აშშ დოლართან ცეცმა ისეთივე სიჩქარით, ან უფრო მეტად, ვიდრე ლარი – დოლართან, მაშინ როგორც არ უნდა დაეცეს ლარი დოლართან, იმპორტირე-





თურქეთში მცხოვრები ქართველები საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. ამის მიზეზი ქვეყანაში გამოცემული გაზეთი „აბახისია“... ეს ყოველდღიური გამოცემა „აბახისი“ დამატება გახლავთ, რომელიც თურქეთში უკვე მრავალი წელია, ერთმილიონიანი ტირაჟით გამოდის.

„ტელემედის“ ცნობით, გაზეთის აფხაზური დამატების გამოცემით შემოფოტდნენ როგორც ქართველი, ისე თურქი დიპლომატები.

საქართველოში თურქეთის ელჩის განმარტებით, გაზეთი თურქეთში აფხაზური დიასპორის ძალისხმევით გამოიცა და ამის შესახებ თურქეთის მთავრობა ინფორმირებული არ იყო.

ამასთან, ელჩი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მტკიცედ უჭერს მხარს და უკვე მუშაობს იმაზე, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

ჩვენ დაგვუკავშირდით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თურქეთის ხელისუფლებას და მკაფიოდ დავეფიქსირეთ ჩვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ამჟამად ვმუშაობთ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, რომელიც, გულახდილად რომ ვთქვათ, თავადაც საკმაოდ შემოფოტებულია აღნიშნულით, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება თავად ოფიციალური ანკარის მიერ გაცხადებულ პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით, - განაცხადა თურქეთში საქართველოს ელჩმა ირაკლი კობლატაძემ.

ფაქტით შემოფოტებულები არიან ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებიც. მათი თქმით, „აბახისი“ რედაქციის ოფისთან საპროტესტო აქცია გამართება და ისინი შეეცდებიან, გააგებონ თურქულ საზოგადოებას, რომ რაც ხდება, არასწორია.

ეს გაზეთი თავისი პუბლიკაციებით ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, არღვევს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, ამიტომაც თურქეთში მცხოვრები ქართველები წინააღმდეგნი ვართ მისი არსებობის და ვაპროტესტებთ, ვგმობთ გაზეთ „აბახისი“ ამ ქმედებას, - განაცხადა თურქეთში მცხოვრებმა ერეკლე დავითაძემ.

„დუზჯეს“ უნივერსიტეტის პროფესორი ნანა კაჭარავა ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ გაზეთი სრულად უგულებელყოფს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

აფხაზეთი მოხსენიებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად, უგულებელყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ასიათასობით ადამიანის განდევნა საკუთარი სახლებიდან, - ამბობს პროფესორი.



# გაზეთი „აბახისია“ თურქეთში...

## თურქეთში მცხოვრები ქართველები საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან

საქართველოს ხელისუფლებისთვის თურქეთში მცხოვრები კავკასიელი ხალხების დიასპორებთან ურთიერთობების არაპრობლემატიკულობის პრობლემაზე „აქციენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუებში არაერთხელ უსაუბრია კავკასიოლოგ ალექსო კვახაძეს. მისი აზრით, ეს დიასპორები მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს ქართული მხარისთვის აფხაზეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, მით უფრო, რომ აფხაზეთს თურქეთში საკმაოდ მსხვილი და აქტიური დიასპორა ჰყავს.

90-იან წლებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო პასიური იყო ამ მიმართულებით, რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან, მაგალითად, სერგეი შამბა, ვიარსლაფ ჩირიკბა, სტანისლავ ლაკობა, სისტემატურად დადიოდნენ თურქეთში ჩერქეზულ, აფხაზურ და სხვა სოფლებში და ფაქტობრივად, ნამლავედნენ

ადგილობრივ მოსახლეობას ანტიქართული პროპაგანდით. ახლა ამ მხარე გამოცემულა და ვაძლევაზე უნდა ვისწავლოთ და ვაძლევაზე უნდა ვისწავლოთ და ვაძლევაზე უნდა ვისწავლოთ... როდესაც ქართული მხარე პასიურად, არ პასიურობენ რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების დახმარებით აწყობენ პროვოკაციებს. მაგალითად, დუზჯესი სოფლებს შორის გამართულ ერთ-ერთ საფეხურთო მატჩზე, რომელშიც აფხაზურმა სოფელმა გაიმარჯვა, აფხაზეთიდან ჩასულმა სეპარა-

ტისტებმა დემონსტრაციულად სცადეს მათი დროშის აღმართვა, რაც პარლამენტის დეპუტატმა აღკვეთა, რომელიც დონისძიებას ესწრებოდა. მან თავად შეუშალა ხელი დროშის გამოფენას, რასაც დიპლომატიური სკანდალი მოჰყვებოდა. რუსული სპეცსამსახურები მსგავსი პატარ-პატარა ინციდენტებით ცდილობენ, ურთიერთობები დაძაბონ და უფრო გააღრმავონ დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ქართული სახელმწიფო კი მას არაფერს უპირისპირებს. არანაირი კონტროლები არ არის მიღებული. თუ აფხაზურ და ქართულ დიასპორებს შორის ურთიერთობას აქტიური მხარდაჭერა არ ექნება, ინერციით ეს პროცესი დიდხანს ვერ გასტანს, ურთიერთობები გაუარესდება...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ გაიაზრა, რომ აუცილებელია ჩრდილოეთ კავკასიელებთან და მათ დიასპორებთან ურთიერთობის დამყარება და მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები. შესაბამისად, განწყობები რადიკალურად შეიცვალა. 2011 წელს საქართველომ აღიარა ჩერქეზი ხალხის გენოციდი. დღეს ჩერქეზები ითვლებიან ქართველების მიერ კეთილგანწყობილ ხალხად და მიჩნეულნი არიან ხიდად თურქეთში ქართველებსა და აფხაზებს შორის. შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო თურქეთში მცხოვრებ აფხაზებთან დაახლოება, მაგრამ ეს პროცესი გაჩერებულია.

თუმცა ჩვენ ძალიან ბევრი უპირატესობა გვაქვს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ: საქართველო მიიღებს ევროპასთან უფრო მიმოსვლას; იყო ჩანაფიქრი, რომ „თანამემამულის მოწმობის“ ანალოგიური საბუთი, რომელიც ამჟამად ქართული დიასპორის წარმომადგენელთა აქვთ და ისინი საქართველოს ტერიტორიაზე პირადობის მოწმობად იყენებენ, გაცემულიყო თურქეთში მცხოვრებ აფხაზებზეც; თურქეთსა და რუსეთს შორის ამომხდარი ინციდენტის შემდეგ რუსებმა აფხაზეთიდან, პრაქტიკულად, ყველა თურქული კომპანია გააძევეს და ასევე თურქეთში მცხოვრები აფხაზებიც, რომელთაც აფხაზეთთან ჰქონდათ კონტაქტი. დღეს კი მათ მოთხოვნილება აქვთ აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის და სწორედ აქ იკვეთება საქართველოს უპირატესობა: საქართველოს შეუძლია, გახდეს ის პლატფორმა, რომლის მეშვეობით აფხაზეთში და თურქეთში მცხოვრები აფხაზები ერთმანეთთან ურთიერთობას დამყარებენ. ეს შესაძლებლობად აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, - განუცხადა „აქციენტს“ იმხანად თურქეთიდან ახლადდებრუნებულმა კვახაძემ.

„აქციენტი“

## ნიგნი ქართული ღვინის კულტურაზე



აშშ-ის ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე (RAW WINE) ქვეყნის ღვინო იყო წარმოდგენილი. გამოფენის ფარგლებში ცნობილი ამერიკელი ღვინის მწერლის, ელის ფეირინგის

ქართული ღვინის კულტურაზე დაწერილი წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველეს ღვინის კულტურაში“ პრეზენტაცია გაიმართა.

ორდღიან გამოფენას, რომლის ორგანიზატორიც ცნობილი ღვინის ექსპერტი, ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეფერონია (საფრანგეთი), ათასობით ღვინის პროფესიონალი, მოყვარული, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს ახალი იმპორტიორებისა და პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას აძლევს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია: „გოცას ღვინოები“, „მელენიკობა ნიკა“, „ხობის ცრემლები“, „ჩვენი ღვინო“, „ორგო“ და „ამირან ვეფხვაძის ღვინო“

ელის ფეირინგის (Alice Feiring) წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველესი ღვინის კულტურაში“ (My Odyssey through the World's Most Ancient Wine Culture) პრეზენტაციამ ღვინის პრო-

ფესიონალების დიდი ინტერესი დაიმსახურა.

მიმდინარე წლის ზაფხულში ჟურნალ New York Times-ში გამოქვეყნდა ფრაგმენტები აღნიშნული წიგნიდან. ავტორი თავის გამოცემაში აღნიშნავს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და მაღალი ხარისხის „ქარვისფერი“ ღვინის შემქმნელი, რომელიც დამსახურებულად ამაყობს 8 000-წლიანი რთველის ისტორიით.

წიგნის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ელის ფეირინგმა მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა.

გამოფენა RAW WINE-ს სხვადასხვა ქვეყნიდან ასზე მეტი ღვინის მწარმოებელი და რამდენიმე ათასი სტუმარი დაესწრო. აღნიშნული გამოფენა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ, სადაც ბუნებრივი, მაღალი ხარისხის და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან.

## ქორსხელის ღვინის მონასტრის პირველი სხე დაუბრუნდება

სამართლებლო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ზუგდი-



დის მუნიციპალიტეტში კორცხელის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია და მასთან არსებული დედათა მონასტერი მოინახულა.

კორცხელის დედათა მონასტრის შენობა მიმდინარე წლის 17 მაისს გაჩენილმა ხანძარმა დააზიანა. ხანძრის შედეგად დაინვა შენობის მესამე სართული. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტური განვითარების ფონდი აქტიურად მუშაობს მონასტრის აღდგენისა და მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნების გეგმაზე.

## ასი ათასობით „ვიოლა პენსი“ თბილისის სკვერებს გააღებენ

თბილისში გამწვანების საშემოდგომო ღონისძიებების ფარგლებში ბაღებსა და სკვერებში სეზონური ყვავილები ირგვება.

160 000 ძირი „ვიოლა პენსი“ უკვე დაირგო რუსთაველის პროსპექტზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ვარკეთილის მასივში და განახლდა გმირთა მოედნის ესტაკადის ქოთნები. გამწვანების სამუშაოები, ამჟამად, მიმდინარეობს სააკაძის მოედანზე, დილმის მასივში, „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლის მიმდებარედ და ორთაჭალაში - გულაის მოედანზე.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური ნოემბრის ბოლომდე ექვსი სხვადასხვა ფერის 500 000 ძირ „ვიოლას“ დარგავს.



12

**6** ათლის მხედარი მიწივ იმის ფიქრში არიან, თვალეში ციალი არ ჩავემუტოსო.

ყველასთან მშვიდობიან ურთიერთობაში არიან, სხვა, უცხო ადამიანთ თვალს არ არიდებენ. თუ შორ გზაზე მიდიან, არცრა არგანი უჭირავთ და არცრა სანდალნი აცვიათ. არცთუ იშვიათად შიში იპყრობთ. ყოველთვის არც სწორად იქცევიან.

ხანისად სულ უბრალო რამის გამო იტანჯავენ თავს, წვრილმანდებიან, ფაციფუცობენ.

ზოგჯერ თავს ირწმუნებენ, არცრა მადლისა და არცრა სასწაულის ღირსნი არა ვართო.

ყოველთვის ვერ დაუტყვრებით თავიანთი ყოფნის მიზანი ამ სოფლად. დამეგებს თეთრად ათენებენ და ერთმანეთს შესჩივიან, ჩვენს ცხოვრებას აზრი არა აქვსო.

იმიტომ რომ მიზეზს ეძებენ, საგულდაგულოდ ეძებენ და უსათუოდ ოდესმე იპოვნიან.

13

**6** ათლის მხედარს სულაც არ აზინებს უკუნურად თავის გამოჩენა.

ხმამაღლივ, მთელი ხმით ელაპარაკება იგი თავის თავს. მავანმა შთააგონა, ეს ანგელოზებთან ურთიერთობის საუკეთესო ხერხიაო, და იმანაც გაბედა ამ ციურ მოციქულთა დასთან კავშირის გაბმა.

თავიდან ძალიან ძნელი ეჩვენა. სათქმელი არაფერი მატესო, იფიქრა, ათას სისულელეს და აბლაბუდას მოვასმენინებო, მაგრამ ხელი არ ჩაიქნია, მაინც თავისი გაიტანა, ყოველდღე ესაუბრება საკუთარ გულს და ისეთ რასმე ამბობს, რასაც თავადვე არ ეთანხმება, შიგადაშიგ ათასნაირ სისულელეს გამოურევს ხოლმე.



მაგრამ აი, ერთხელაც ამჩნევს, რომ ხმა სულ სხვაგვარად აუძგერდა. და ხედება, რომ ბოლოს და ბოლოს მიაგნო გზას უმაღლესი სიბრძნის მისაღწევად.

ნათლის მხედარი ხან შეშლილ კაცად მოჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა.

14

**6** ათლის მხედარი თავად ირჩევს თავის მტრებს, – თქვა პოეტმა.

მხედარმა იცის, რის ძალაც შესწევს. საჭიროდ არც მიიჩნევს და არც ეჭირვება თავისი ნიჭისა და უნარით ტრამახი. მაგრამ ერთხელ სხვა გამოჩნდება, ვინც მოპყვება იმის მტკიცებას, ეგ სხვებზე ბევრად უკეთესიაო.

ნათლის მხედარისთვის კი არც „უკეთესის“ ცნება არსებობს და არც „უარესისა“, რამეთუ იმის თვალში თითოეული ადამიანი საკმარისად ნიჭიერია იმისთვის, რომ თავის არჩეულ გზა-სავალს დაემწყემსოს.

მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ეს ხელს არ აძლევს. ისინი ცდილობენ, რომ კბილი გაჰყრან ანდა შეურაცხყონ იგი, საჩხუბრად გამოიჩვიონ, როგორც წინასწარობა დააკარგვინონ.

და ასეთ დროს გული ალაღაღად ეუბნება მხედარს: „არც არაფრად არ ჩააგდო ეგ შეურაცხყოფა, მაგათი ავი სიტყვა ვერც გაგაძლიერებს და ვერც დაგაჩოლოფოტებს, მხოლოდ ტყუილუმბრალად დაკარგავ ძალას!“

ნათლის მხედარი ვაგლახად არ ხარჯავს დროს, რის გამოც ვეგვს ეპასუხება, რამეთუ იცის, რის აღსრულებაც მოსდგამს, ის უნდა აღსრულდეს.

15

**6** ათლის მხედარი იხსენებს ჯონ მენიანის\* სიტყვებს: „თუშა გამოვლით ყველაფრის წილ გამოვიარე, მაგრამ სულაც არა ვნანობ, რომ ხან ერთ რთულ ვითარებაში ვხვდებოდი, ხან მეორეში, არა ვნანობ, რადგან სწორედ ამ ვითარებათა გამოვლამ მომიყვანა აქ, სადაც მოხვედრდა“

\* ჯონიან ჯონი (1628-1688) – ინგლისელი მწერალი პურიტანელი, დაწერილი აქვს რომანი „ლოცვადმავლის გზა“.




პორტუგალიური ტექსტი დედნის ბეკარედის მიხედვით გადმოაქვს ბურამ ბოზიაშვილმა

მინდოდა. აწ აი, ამ მახვილის მეთი არცრა გამაჩნია რა და ყველას ვგრევე მივუბოძებ, ვისაც თავისი ლოცვადმავლობის აღსრულება აქვს გადაწყვეტილი. რაც რამ ნაიარევი და ნაჭრილობევი მატყვია, გადატანილი მრძოლების კვალთა, და იმასაც მოწმობს, რომ ტყუილად არ მიცხოვრია, და დამიპყრია და დამიმორჩილება, ეს ყველა ნახმლევი იმის ჯილდოდ მრგებია.

დაიხსაც ჩემთვის ძალიან ძვირფასმა ამ ნაჭრილობევი-ნაიარევი უნდა შემოდონ სამთხის კარი. იყო დრო როცა, სხვათა მამაცობის ამბებს ვისმენდი, იყო დრო, როცა უბრალოდ მეც ბევრ სხვასავით მხოლოდ იმიტომ ვცხოვრობდი, რომ უნდა მეცხოვრა.

ახლა კი იმიტომ ვცხოვრობ, რომ მხედარი ვარ, მეომარი და კიდევ იმიტომ, რათა ოდესმე წარვდგე იმის წინაშე, ვისთვისაც ამდენს ვიბრძოდი“.



16

**6** მ ჩამს, როს ნათლის მხედარი თავის პირველ ნაბიჯს ადგამს, თან თავის წინ ვაჭიმულ გზას იმეცნებს.

სუყოველი ქვა, გზის სუყოველი მისახვევ-მოსახვევი მიემშვიდობებიან. ეგამარჯვებებიან. ის სისხლობრცველ ნათესაობას გრძნობს მთებთან და ღელეებთან, გრძნობს, რომ თავისი სულის ნაწილი ჩაბუდებულია ბუჩქებსა და ბალახებულახში, ნადირთა და ფრინველთა სამშენიველში.

და მაშინ, ღვთის შეწვევითა და ღვთიური სასწაულით გაძლიერებული, თავის გზა-სავალს თავს იქით წააყვანინებს, სადაც ცხოვრებისგან დასახულ ამოცანათა არაერთი გადაჭრა-გადაწყვეტა ელოდება.

გაბრაქილავა. დასაწყისი იხ. №212

ხანისად ადგილს ვერ პოულობს, რომ ღამე გაითენოს, ხანისად უძილობა ტანჯავს, არა უშავს რა, – ფიქრობს იგი. – ეს პროფესიული ამბავია. მე თავად დავადეცი ამ გზას. სხვამ მაძილა თუ რა“.

ეს სიტყვები შეიყვას მთელ იმის სიძლიერეს: თავისი გზა-სავალი მან აირჩია, და არცრა დასაჩივლი აქვს, არცრა ვინმესთვის სასაყვედურო.

17

**6** ადგება უამი – ვინ იცის, რაერთი საუკუნე გაივლის, – ოდეს სამყარო უხვამუნებს ნათლის მხედართ და ყრუ და გულგრილი დარჩება იმათ მიმართ, ვისაც ბრმარწმენათაგან თავი ვერ დაუხსნია.

დედამიწის ენერგია ითხოვს განაწილებას. ახალი იდეები ითხოვენ სივრცეებს.

ხორცი და სული გამოწვევას გამოწვევაზე ითხოვენ. მომავალი, მერმისი გააწყობდება და ოცნებებს, – ცნურწმენებით გატყენებული ოცნებების გარდა, – სუყველას ახდენა უწერია.

მნიშვნელოვანი – გადარჩება, უსარგებლო – დაილუპება. თუმცა, მხედარი დიდად თავს არ იტკივებს მოყვასის სიმბრებზე ფიქრითა და იმათი შეფასებით. და არც კიდევ დროს კარგავს სხვათა გადაწყვეტილებათა კიცხვით. რამეთუ იმისთვის, რომ შენი გზა-სავალი გწამდეს, სულაც არ არის იმის მტკიცება საჭირო, მავანმა და მავანმა არასწორი გზა აირჩიათ.

18


**6** ათლის მხედარი საგულდაგულოდ, დიდი გულმოდგინებით სწავლობს იმას, რის დამორჩილებაც ვაწუზნახავს.

რა ძნელიც არ უნდა იყოს მიზნისკენ მიმავალი გზა, ყოველთვის არის დამრწკოლების გადალახვის ხერხი და საშუალება. მხედარი თავს დასავლელ გზებს ეძებს, თავის მახვილს აფხავებს, დაჩამჩამებს ცდილობს, რომ სულში ფოლადი ჩაიღვაროს, განიმტკიცოს, ურომლისოდაც ღირსეულად ვერ შეხვდები ბედ მომდგარ მეტოქეს.

მაგრამ, ამ გზას ადევნებულ ხვდება, რომ ბევრი ისეთი სიძნელე და დამრწკოლება ელოდება, რომელთაგან არც ერთი არ გაუთვალისწინებია!

უკეთუ ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტს დაელოდება, მაშინ ვერც როდის დაიძვრის ადგილიდან; პირველი ნაბიჯის გადასადგმელად ცოტა სიფიქვა საჭირო.

ნათლის მხედარს ამ სიფიქვის თავისად მომსახურების უნარი შესწევს. რამეთუ, ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია – მეტადრე ომში, მეტადრე სიყვარულში.



19

**6** ათლის მხედარმა იცის თავისი სუსტი მხარეები. მაგრამ ისიც იცის, რის ნიჭიც აქვს.

მავანი და მავანი ჩივის: „შესაძლებლობა არ მომეცათ“.


ვინ იცის, იქნებ მართალიც არის, მაგრამ ნათლის მხედარი არცროდის ამ მიზეზს თავს არ გააოცნებინებს, პირიქით, ბოლო ზღვრამდე დაძაბავს რაც ძალა და უნარი აქვს, ერთბაშად შეძრავს მთელ თავის ნიჭს.

მან იცის, რომ ირემლადი ძლიერია თავისი ფეხების სიმარლით, ხოლო თოლიას სიძლიერე თვალგამჭრიახობაშია, სხვანაირად წყლიდან სხარტად თევზს ვერ ამოიტაცებს. მხედარმა იცის, რომ ვეფხვს აფთრისა არ ეშინია, რადგან დარწმუნებულია თავის ძლიერებაში.

და ამ დროს ნათლის მხედარი ცდილობს იმის მიხედვრას, რა უნდა ჰქონდეს უბურში. და გულში ამოწმებს თავის შეიარაღებას, რასაც სამი რამ შეადგენს – რწმენა, იმედი, სიყვარული.

უკეთუ ვეგულის პირველიც, მეორეც, მესამეც, ნათლის მხედარი უტოტმანოდ განავრძობს გზას.

(გაბრაქილავა იძნება)





# „დანერგე მომავალი“

## სოფლის მეურნეობის პროექტების ახალი პარსეფიკა

სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება მომავალი წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდება. ყველა დეტალი მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც საქართველოს პარლამენტში გადამიშვებული 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი შევა, თუმცა უკვე ცნობილია, რომ შემცირება ძირითადად სოციალური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო დანახარჯებს, მაგალითად, ხვნა-თესვის ვაუჩერებს შეეხება, ხოლო პროგრამების ნაწილი, რომელიც ახალი ბაღებისა და საწარმოების შექმნას გულისხმობს, ამ ეტაპზე შენარჩუნდება.

ამ დღეებში ასევე ცნობილი გახდა, რომ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ცვლილება განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებულ ერთ-ერთ პროექტში – „დანერგე მომავალი“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით მრავალწლოვანი კულტურების გაშენებას ითვალისწინებს.

აგროპროექტ „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ფერმერებს საშუალება ექნებათ, გააშენონ მაცვლისა და ყოლოს კულტურების საქართველოს ყველა რეგიონში. იმავდროულად, პროექტს დაემატა კომპის გაშენების შესაძლებლობა კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

აღნიშნული კულტურების გაშენებით დაინტერესებულ ფერმერებს, რომლებიც აგროპროექტ „დანერგე მომავალი“

ვალში“ ჩაერთვებიან, სახელმწიფო ნერგების ღირებულების 70 %-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის ღირებულების 50 %-ს დაუფინანსებს. ამ ეტაპისთვის აგროპროექტი „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენდა/შენდება 2044 ჰა მრავალწლოვანი ხეხილის ბაღები, ხოლო სახელმწიფოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ 9,767,644 ლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ აგროპროექტ „დანერგე მომავალი“ განხორციელდა 2015 წლიდან დაიწყო. მისი მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენება და სანერგე მეურნეობების მოწყობა.

ზემოთ მოხსენიებული კულტურების გარდა, რეგიონების მიხედვით იმ კულტურების დანერგვაა შესაძლებელი, რომლებიც რეგიონში შედარებით უკეთესი მოსავლიანობით გამოირჩევა. მაგალითად, კაკალი საქართველოს ყველა რეგიონში ფინანსდება, თუმცა ლურჯი მოცვის და, მაგალითად, მანდარინის პლანტაციების გაშენებას, ისევე როგორც ლიმონისა და სხვა ციტრუსები-სას, პროგრამა ძირითადად დასავლეთ



საქართველოს, გურიის, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფინანსებს. არის კულტურები, – მაგალითად, ვაშლი, მსხალი, ალუბალი და ა.შ., – რომლებიც, ზემოთ მოხსენიებული ყოლოს, მაცვლისა და კომპის მსგავსად, სოფლის მეურნეობის პროგრამებით, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიძლება გააშენოთ.

პროექტი „დანერგე მომავალი“, ბაღების კომპონენტის გარდა, სანერგეების შექმნის კომპონენტსაც გულისხმობს. სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის, თანადაფინანსების სახით, მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ან არსებული მეურნეობის განსავითარებლად. თანადაფინანსების მოცულობაა არაუმეტეს 150 000 ლარის ერთ ბენეფიციარზე.

არჩილ მოლდუხაძე

# „იტალიური მოდის ისტორიის 60 წელი“

14 ნოემბერს იწყება მოგზაურობა იტალიური მოდის სამყაროში – თბილისში პირველად იქნება წარმოდგენილი გამოფენა „იტალიური მოდის ისტორიის 60 წელი“, რომელსაც ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი უმასპინძლებს.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს ხელისუფლების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოდის სფეროში მომუშავე იტალიური და ქართული კომპანიები, საპატიო სტუმრები და ჟურნალისტები. გამოფენის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს მიეცემა უკვე 15 ნოემბრიდან 2017 წლის 10 იანვრამდე ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სამუშაო საათებში.

გამოფენაზე, რომელიც სტილისა და ელემენტარობის ისტორიას მოგითხრობს, ინიციატივით იტალიური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს, მაღალი მოდისა და Print-a-porter-ის უნიკალურ ტანსაცმელს და სხვა სახელგანთქმული იტალიური მოდის სახლებისა და დიზაინერების საუკეთესო ქმნილებებს. წარმოდგენილი იქნება 70-მდე ექსპონატი.

კომპანია Galgano&Totale მიერ ჩაფიქრებულ და განხორციელებულ ექსპოზიციას დიდი წარმატება ხვდა წილად იტალიისა და უცხოეთის პრესტიჟულ საგამოფენო სივრცეებში.



## სტუმრის თვალით

„თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ვლადივოსტოკისას ჰგავს: შედარებით პატარა, წყნარი, თითქმის შინაურული. საქართველო, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შემოდგომის გრილი დღით შეგვხვდა, ნაცრისფერი ცივ და წვიმის დანებების შეგრძნებით, თუმცა შემდგომმა მზიანმა დღეებმა თბილისი მთელი სილამაზით გვაჩვენა. აეროპორტთან ახლოს საინტერესო სკულპტურაა – ადამიანს ხელში მზე უჭირავს და მალა სწევს. ოცმეტრიანი ქანდაკება თბილისის ზურაბ წერეთელმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აჩუქა. ჟურნალისტებმა სკულპტურაში თავიდანვე შენიშნეს რაღაც უცნაურობა. მასში გამოსახული ადამიანი პირით ჩრდილოეთისაკენ დგას, სინამდვილეში კი აღმოსავლეთით უნდა იდგას, რადგან მზე აღმოსავლეთიდან ამოდის. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს გონებათმახლეურად და პოლიტიკურად სწორად უპასუხა: „ჩვენთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“, ანუ იმ მხრიდან, სადაც მოსკოვია“...

პირველი რაც თვალშისაცემია თბილისში, ესაა პოსტაბჭოთა-პროამერიკული კოლორიტი. მძლავრმა აეროპორტიდან ქალაქში ჯორჯ ბუშის გამზირით წამოგვიყვანა. საგზაო მაჩვენებელი მიგვანიშნებდა, რომ წინ გველოდებოდა ევროპის მოედანი, თავისუფლების მოედანი, დამოუკიდებლობის მოედანი, გმირთა მოედანი და ვარდების რევოლუციის მოედანი. ამასთან, თვითონ ტაქსისტი საუბარში ხშირად აკრიტიკებდა მიხეილ სააკაშვილს – საქართველოს ექს-პრეზიდენტს, რომელიც შემდეგ უკრაინაში ოდესის ოლქის გუბერნატორი იყო და რამდენიმე დღის წინ გადაადგა“.

ასე იწყება რუსულ გამოცემა „Владивосток“-ის მიერ სერგეი პეტრაჩოვის ავტორობით გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, სადაც რუსეთის შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მცხოვრების, ვლადივოსტოკელი ტურისტის შთაბეჭდილებებია გადმოცემული.

\* \* \*

„თბილისის ცენტრი სასამოვნო ევროპულ ქალაქს გვაგონებს – ვინაშე მოკირწყლული ქუჩებით, წითელსახურავიანი და ლამაზიანინი სახლებით, ბევრი პატარა კაფე-რესტორნით... ქალაქის მცირესართუ-

# რით ანუენინა ლერმონტოვმა ქართველებს?!



ლიანი პასტორალის ფონზე მხოლოდ ერთი ცათამბჯენი – საჩვენებელი თითის მსგავსი მაღალი შენობა მოჩანს. საქართველოს დედაქალაქი ძირითადად მთებზეა გაშენებული, რომელთა ფერდობები უკვე დიდი ხანია, სახლებითაა დაფარული. ამაშიც არის რაღაც მსგავსება ვლადივოსტოკთან. რიყის პარკიდან საბაგირო გზას ძველ ციხე-სიმაგრესთან და იქვე აღმართულ ქართლის ედის ქეგლთან მივყავართ, რომელსაც ერთ ხელში ლინის ფიალა უჭირავს (სტუმრისათვის), მეორეში კი მახვილი (მტრისათვის). აქედან თბილისის ლამაზი პანორამა იშლება, თუმცა დედაქალაქის პანორამა მთაწმინდიდანაც კარგად მოჩანს. რიყის პარკი მდინარე მტკვრის ნაპირზეა გაშენებული. აქვეა ფრანგი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული „მშვიდობის ხიდი“, რომელიც მინის კონსტრუქციითაა გადახურული. ლამით ხიდი საქართველოს დროშის ფერებით ნათდება. სხვათა შორის, ფრანგმა არქიტექტორმა თბილისში დააპროექტა აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისავე შენობა და ასეთივე გამჭვირვალე იუსტიციის სახლი. ავტორის ჩანაფიქრით,

მინის შენობები პოლიციისა და საერთოდ, ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალე საქმიანობის სიმბოლოა“.

სტატიაში საკამოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს საპატრულო პოლიციის მუშაობას („თბილისში ავტომობილი უკანასკნელად 2006 წელს გაიტაცეს!“), პოლიციელთა ფორმას, შრომის ანაზღაურებას, საპატრულო ავტომობილებს, ქუჩაში მოძრაობას („აქ თქვენ თავს უსაფრთხოდ იგრძნობთ“), თბილისის ტრანსპორტს (პოზიტიურადაა აღწერილი მეტროპოლიტენი, თუმცა შენიშვნებიც არის გამოთქმული).

„საქართველოში რუსეთის გავლენა ახლაც იგრძნობა და ეს არა მარტო საბჭოთა პერიოდის სტანდარტულ საცხოვრებელ რაიონში, რომლებიც ძალიან ჰგავს სხვა დიდ საბჭოთა ქალაქებს (ფილმ „ბედის იორინის“ მსგავსად), არამედ სხვა ადგილებშიც, რომლებიც კულტურის თვალსაზრისით, ქართველებსა და რუსებს ერთმანეთთან აახლოებენ. მაგალითად, გოგირდის აბანოები, რომელთა შესახებაც ალექსანდრე პუშკინი აღტაცებით წერდა. სხვათა შო-

რის, თბილისის ცენტრში პუშკინის სახელობის სკვერი დღესაც არსებობს პოეტის ბიუსტიო.

თბილისში დიდად აფასებენ ალექსანდრე გრიბოედოვსაც, რომელიც აქაა დარჩა მან ჯვარი ქართველი თავადის ასულ ნინო ჭავჭავაძესთან (...). თბილისთან ახლოს ისტორიული ქალაქი მცხეთა მდებარეობს. აქ, ჯვრის მონასტერთან დაიბადა მიხეილ ლერმონტოვის პოემა „მწირი“. „იქ, სადაც ერთიან და ხმაურია, ჩაჰკვირან ერთურთის ისე, ვით დები, მტკვრის წყალს და ტალღებს არაგვის წყლები, ნახავთ მონასტერს...“.

ჩვენ გვიყვარს ლერმონტოვი, მაგრამ მან ქართველებს ძალიან გავწყენინა“, – გვეუბნება ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები. საქმე ეხება ლერმონტოვის პოემა „დემონს“, რომელშიც დედოფალი თამარი „დემონად, ბოროტ არსებად“ არის გამოყვანილი. ქართველებისთვის თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალთან და დავით აღმაშენებელთან ერთად, ყველაზე პატივსაცემი მმართველია, იგი ზნეობრიობის, სიკეთისა და სიბრძნის განსახიერებაა. მართალია, მიხეილ ლერმონტოვმა „დემონში“ სულ სხვა თამარ დედოფალი იგულისხმა, მაგრამ ქართველებს ეს ნაწარმოები მაინც არ მოსწონთ.

საქართველოში რუსებს კეთილად ეწყობიან, სტუმართმოყვარეობას ამჟღავნებენ. ქართველებს, ალბათ, მხოლოდ თურქები არ უყვართ – ამბობენ, რომ ისინი აქ ქედმაღლურად იქცევიან და ზემოდან გვიყურებენ. რაც შეეხება რუსულ ენას, მას მოსახლეობა თანდათანობით ივიწყებს. უფროსმა თაობამ კიდევ იცის, მაგრამ ახალგაზრდები გაგებაში არ არიან, მათთვის უფრო მოსახერხებელი ინგლისურად საუბარია“.

პუბლიკაციაში ავტორი აღწერს აგრეთვე თავის მოგზაურობას ხევში (სტეფანწმიდაში), გერგეტის მონასტერში, იგი მოხიბულია ამ მთიანი მხარის საოცარი სილამაზით: „თოვლიანი მწვერვალები, ცაში არწივი, გულის სწრაფი ძვერა, ფრენა გინდა... თავს სასწაულებრივად გრძნობ... პოეტიც რომ ვიყო, ამ გრძობას ვერ გადმოვცემ“, კახეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებათაგან კი აღწერილია ქართული სუფრა და სადღეგრძელოები.

ნიუსპრასი



**თანამდებარე მსოფლიოში მიმდინარე უმწველესი პოლიტიკური პროცესების შედეგად მესამე მსოფლიო ომის დაწყების (თუ უკვე დაწყებულია?) საშიშროებასაც თავი რომ დავენებოთ, დედამიწა ისედაც არაერთი გლობალური საფრთხის წინაშე დგას, რომელსაც ვერ კიდევ სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ. გარემოს დაბინძურებას, მოსახლეობის უკონტროლო ზრდასა და მიგრაციას, ზოგან ხალხის შიმშილობას, ზოგან კი მილიონობით ტონა ვადაგასული საკვების გადაყრასა და ადამიანის უთავბოლო მოღვაწეობის გამოისობით შექმნილ პრობლემასაც რომ არ მივაქციოთ ყურადღებას, რომელთა გადაჭრა ვერ კიდევ – გონების მოკრეფისა და საამისოდ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში – შესაძლებელია, დედამიწას სხვა გლობალური საფრთხეები ემუქრება, რომელთა წინაშე კაცობრიობა, უბრალოდ, სრულიად უძლურია.**

ასეთებია, კერძოდ, დედამიწის შედარებით დიდი ზომის ასტეროიდთან შეჯახების საფრთხე რეალური ალბათობა, არსებულ ვულკანთან შორის უდიდესის, დღესდღეობით „აქტიურად მძინარე“ იელიუსთოუნის მოსალოდნელის აფეთქება (რის შესახებ ცოტა ხნის წინათ ვწერდით კიდევ), მსოფლიო ოკეანის დონის განუხრელი აწევა... ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ შედეგი ყველა შემთხვევაში კატასტროფული იქნება.

ამ ჯერზე იმაზე გვექნება ლაპარაკი, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე დედამიწაზე ხმელეთის ფართი მართალია, თანდათანობით, მაგრამ მუდმივად მცირდება, ხოლო ყინულოვანი საფარის დნობის ტემპი ათჯერ გაიზარდა! თანაც დნება არა მხოლოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების მიმდებარე ოკეანეში ცალკეულად მცურავი ყინულის ველები და აისბერგები, არამედ გრენლანდიისა და ანტარქტიდის უზარმაზარი მყინვარები. იქიდან ჩამოცურებული ყინულის ველები მასივების დნობის შედეგად კი, ადრე თუ გვიან, მსოფლიო ოკეანის დონე იმდენად აიწევს, რომ წყალი თანდათანობით ხმელეთის სულ უფრო დიდი ტერიტორიების მიტაცებას დაიწყებს.

– მსოფლიო ოკეანის დონის მატება 30 პროცენტით იმაზეა დამოკიდებული, რომ გლობალური დათბობით გამოთარნი წყალი მოცულობაში იმატებს, დანარჩენი 70 პროცენტი კი მყინვართა დნობის წილად მოდის, – აცხადებს კოლორადოს უნივერსიტეტის მსოფლიო ოკეანის დონის შემსწავლელი ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური სააგენტოს ჯგუფის ხელმძღვანელი სტივენ ნერემი.

ცოტე ხნის წინათ ცნობილ ჟურნალში „ნიშნულ ჯეოგრაფიკში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დათბობის ამჟამინდელი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, სულ რაღაც 150 წელიწადში, დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა 14-დან 26 გრადუსამდე აიწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთარში ციმბირშიც კი ტემპერატურა +10 გრადუსზე ქვევით არ ჩამოვა, ზაფხულობით კი +40 გრადუსს მიაღწევს!

თუმცა, განგაშის საფუძველი ახლაც არსებობს.

– პოლუსების რაიონებში ზაფხულის

მეცნიერები მრავალი მილიონი წლის წინანდელ გეოლოგიურ მოვლენას უკავშირებენ.

– ესაა დედამიწის მანტიის ნივთიერების გავრვარებულ მასებზე (ეგრეთ წოდებულ მანტიის პლუმზე), რომელიც ლითოსფეროს წვავს და ზედაპირზე ამოსვლისას ვულკანებს წარმოშობს, კუნძულ გრენლანდიის გავლა. ახლა გრენლანდიაში 1200 კილომეტრის სიგრძისა და 400 კილომეტრის სიგანის უბანი გაჩნდა, სადაც ლითოსფეროს სიღრმე 100 კილომეტრზე ნაკლებს შეადგენს. აქ ანომალური სითბური ნაკადი წარმოიშვა, რომელიც ყინულს ადნობს

და მისი მასები მოძრაობაში მოჰყავს. ასე განმარტავს პროცესს რუსეთის მეცნიერებთა აკადემიის ნათობის გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე ივანე კულაკოვი. ბოლო მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოს ოკეანის დონე წელიწადში 3-5 მილიმეტრით იზრდება და ყინულების დნობის სიჩქარე წლიდან წლამდე მატულობს. ამდენად, ბევრი სკეპტიკოსი წარლენას არცთუ შორეულ მომავალში ელის.

ამ მეტად არადაამაშვიდებელ ამბავს კიდევ ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ, ბოლო გამოკვლევების შედეგებით ირკვევა, რომ ანტარქტიკაში ყინულის სქელი საფარის ქვეშ რამდენიმე მილიარდი ტონა ნახშირწყალბადია. ესაა ცივი მატერიკის წიაღში მცხოვრები მიკროორგანიზმების ცხოველქმედების შედეგი, რომლებიც უძველეს მცენარეთა ნარჩენებით იკვებებიან. მათ მიერ გამოყოფილი მეთანის ოდენობა გაანგარიშებისას, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ანტარქტიდის ყინულების ქვეშ ის უფრო მეტია, ვიდრე მარაგი მსოფლიო ოკეანის ფსკერზე. ჰოდა, თუკი წარმოშობილი ნაპრალებიდან ეს გაზი თანდათანობით კონტინენტიდან ოკეანეში ჩაცურებული ყინულის მასებში გაიჭრება, კლიმატური ცვლილებების შედეგი კატასტროფული იქნება.

მსგავსი სურათია ციმბირის მუდმივი გამყინვარების რაიონებშიც, სადაც ასევე ანტარქტიკის ანალოგიური გენეზისის აუარება მეთანია დაგროვილი.

ამდენად, მომავალი კატაკლიზმების სურათის წარმოსახვისას, ჩვენ მაინც ბოლომდე ვერც კი წარმოგვიდგინა, თუ როგორი შეიძლება აღმოჩნდეს რეალობა. გლობალურ დათბობას მთელი რიგი უარყოფითი მოვლენა მოყვება – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მყინვარების დნობას მსოფლიო ოკეანის დონის აწევა, ნიადაგის სტრუქტურის ცვლილება მოსდევს, მასშასადამე შეიცვლება სოფლის მეურნეობის წარმოების პირობები, კერძოდ, მუდმივი გზდება ძლიერი წვიმები, რომლებიც ამჟამად დედამიწის ყველა რეგიონში აღინიშნება, დამანგრეველი ქარები, ტაიფუნები, ტროპიკული ციკლონები, ამასთან ზოგან განუწყვეტელი გვალვები...

მეცნიერები აცხადებენ, რომ გლობალური დათბობის შედეგების ლიკვიდაციას, შესაძლოა, რამდენიმე ასწლეული დასჭირდეს, ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა კი, სამწუხაროდ, უკვე ვეღარ მოხერხდება.

ოთარ ტურაბელიძე

# ნარღვნის მოლოდინის განსჯა



## SOS! SOS! SOS!

**თუკი მსოფლიო ოკეანის დონე 2 მეტრით აიწევს, ყველაზე ადრე წყალი შთანთქავს ნიუ-იორკსა და მაიამის (აშშ), ბერმუდის და მალდოვის კუნძულებს, ლასერენას (ჩილე), მალაგას (ესპანეთი), ვენეციას (იტალია), ტრიპოლის (ლიბია), იოკოჰამას (იაპონია), შანჰაის (ჩინეთი).**

**უსახლკაროდ დარჩება აზიის 48, სამხრეთ ამერიკის 22, ჩრდილოეთ ამერიკის 17, აფრიკის 11, ევროპის 15 და ავსტრალიის 6 მილიონი მცხოვრები.**

ტემპერატურები სულ უფრო მეტად უახლოვდება ნულოვან ნიშნულს, რაც ყინულთა დნობის მექანიზმს რთავს. ამდენად, ერთ-ერთ წელიწადში ჩვენ ანტარქტიდის ყინულების მასობრივ დნობა გვემუქრება, – ამბობს ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის თანამშრომელი, ანტარქტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ნერილი ებრაი.

მოულოდნელად ყინულების უსწრაფესი დნობა ჩრდილოეთ ნახევარსფეროშიც, გრენლანდიაშიც დაიწყო, რასაც

**შ.პ.ს. „გეორაბერი“-ს ადმინისტრაციის განცხადება**

2017 წლის 03 იანვარს 14:00 საათზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20), გაიმართება შ.პ.ს. „გეორაბერი“-ს საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ნარჩენების აღდგენა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი, ქაშაკაშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ, ს/კ 02.05.06.735.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20;
- შპს „გეორაბერი“-ს ოფისი, ქ. რუსთავი, ქაშაკაშვილის ქ. 1 (+995) 568-866-446;
- შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. რუსთავი, ქაშაკაშვილის ქუჩა №1. საკონტაქტო პირი: თამაზ გავაშელიშვილი, ტელ: (+995) 568-866-446.

ელ. ფოსტა: [tgavashelishvili@hotmail.com](mailto:tgavashelishvili@hotmail.com)

**გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა**

2017 წლის 5 იანვარს, 15 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩოხატაური, ნერეთლის ქუჩა №2) გაიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდ. საშულაზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (საშულა 1 ჰესი სიმძლავრით 7.3 მგვტ და საშულა 2 ჰესი სიმძლავრით 6.3 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. საშულაზე დერივაციული ტიპის არარეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

- საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
  - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – ქ. ჩოხატაური, ნერეთლის ქუჩა №2;
  - შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.
- გთხოვთ, ნერილობითი შენიშვნები და კომენტარები მისამართზე შემოიტანოთ:
  - ლევან მესხელი. ტელ: 5 99 99 33 11; E-mail: [infoedgorgia@gmail.com](mailto:infoedgorgia@gmail.com);
  - გიორგი ბუაღავა. ტელ: 595287560; E-mail: [goga@gamma.ge](mailto:goga@gamma.ge);

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს ადმინისტრაცია**

**გლდანის რაიონის გაბეობაზე შუშის დარიგება დაიწყო**

გლდანის რაიონის გამგეობამ შეჭირვებული ოჯახებისთვის შუშის დარიგება დაიწყო. რაიონის მასშტაბით 100-მდე ოჯახს შუშა უკვე მიუტანეს.

„ვეცილობოთ, შუშა მოსახლეობას მაქსიმალურად ოპერატიულად მივანოდოთ. 100-მდე ოჯახმა უკვე მიიღო შუშა. პროცესი გაგრძელდება და მომართვების საფუძველზე, შუშით სხვა ოჯახებიც ეტაპობრივად დამაყოფილებიან“, – განაცხადა გლდანის რაიონის გამგებელმა დიმიტრი ორმოცაძემ.

თვის ბოლომდე, მოთხოვნის შესაბამისად შუშას გლდანში, მუხიანსა და ავჭალის დასახლებაში მცხოვრებნი 400-ზე მეტი ოჯახი მიიღებს.

შეჭირვებული ოჯახები გამგეობისგან სხვა სახის დახმარებებსაც იღებენ. კერძოდ, ხდება მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; უფინანსდებათ სამედიცინო გამოკვლევები, ოპერაციები და სხვა სახის მკურნალობა; ხდება მათთვის ბინის ქირის კომპენსაცია. გარდა ამისა, შეჭირვებულ ადამიანებს რაიონის მასშტაბით 9 უფასო სასააღიროთი სარგებლობის შესაძლებლობაც აქვთ.



რაზი

მაშუა გორგოძე: ასეთი თამაშის ნაბეზა გულდასანყებია

საქართველო-იაპონია 22:28
საქართველო: მერაბ კვიციანი, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა (ან-ზორ სიჭინავა), მერაბ შარიქაძე, გიორგი აფციაური, ლაშა ხმალაძე (ლაშა მალაღობაძე), ვასილ ლობჯანიძე (გიორგი ბეგაძე), მიხეილ ნარიაშვილი (ვასილ კაკოვინი), ჯაბა ბრეგვაძე, ლევან ჩილაჩავა (დავით ქუბურიაშვილი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ლაშა ლომიძე), გიორგი ნემსაძე, ვიტო კოლელიშვილი, მამუკა გორგოძე(გიორგი თხილაიშვილი), ბექა ბინაძე (გიორგი თხილაიშვილი)
იაპონია: კოტარო მაცუშიმა, ლომანო - ლავა ლემეკი (კეისუკე უჩიდა), ტომოტი ლაფაელე (ამანაკი ლოტოაპია), ჰარუმიჩი ტატეკავა, ქარნ ჰესქეთი (კენკი ფუკუოკა), იუ ტამურა, ფუმიაკი ტანაკა, სატოში ნაკატანი (კოკი იამამოტო), შოტა ჰორიე, ჰეიჩირო იტო (იასუო იამაძი), კოტარო იატაბე (სამუელ ანისე), კოსუკე კაძიკავა, მელჯინ ილაუა (უვე ჰელუ), შუნსუკე ნუნოაკი, ამანაკი-ლელი მავი.



საქართველო-იაპონიის მორაბბეთა შეხვედრის მომენტი

მსაჯი: ფედერიკო ანსელმი (არგენტინა).
საქართველოს მორაბბეთა ნაკრებმა „მიხეილ მესის“ სტადიონზე ნოემბრის პირველი ტესტი იაპონიის ეროვნულ გუნდთან ექვსი ქულის სხვაობით წააგო. მარცხი ყოველთვის დასანანია, მაგრამ ეს მატჩი მათ შორის გამორჩეულია, რადგან „ბორჯღალოსნები“ დროის უმეტეს ნაწილში უპირატესობას ფლობდნენ. თუმცა, ანგარიში იაპონელებმა გახსნეს: მე-9 წუთზე მასპინძელთა მიერ დაცვაში დაშვებული შეცდომით ისარგებლეს სტუმრებმა -- 8:0. ამის მიუხედავად, პირველ ტაიმში წარმატებას „ბორჯღალოსნებმა“ მიაღწიეს -- 12:8. შესვენების შემდეგ 44-ე წუთზე ქართველთა იერიშისას ბურთი იაპონელებმა ჩაჭრეს და ლემეკიმ 95

მეტრი ისე ირბინა, რომ ხელი ვერავინ შეუშალა - 13:12. ამის შემდეგ მასპინძლები კიდევ ერთხელ დანიშნულდნენ -- 22:13, მაგრამ საბოლოოდ მარცხს (22:28) მაინც ვერ გადაურჩნენ და მსოფლიო კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში პირველად შესვლის შანსი ხელიდან გაუშვეს.

მამუკა გორგოძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი: „ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, ასეთი თამაშის ნაგება გულდასანყებია. მოხერხება უნდა იმას, რომ ასეთი დიდი ფიზიკური უპირატესობა გქონდეს და მაინც წააგო. ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია, თუმცა, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ.“

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ბჭების გარეშე კმაყოფილი ვარ. გარკვეულ მომენტებში შეცდომები იყო, თუმცა, ეს იმ წნეხის გამო ხდებოდა, რომელშიც მეტოქე გვამყოფებდა... ყოველი გამარჯვების თუ მარცხის შემდეგ რაღაცას ვსწავლობთ, ყოველი თამაშის შემდეგ რაღაც ახალი უნდა შევიძინოთ. მეტად უნდა ვიზრუნოთ ბურთის შენარჩუნებაზე, დაცვისა და შეტევის სისტემების

გაუმჯობესებაზე. გარკვეული კომპონენტები აუცილებლად დაიხვეწება. მაღლობა გულშემატკივრებს. მათი თანადგომა ერთ კვირაში სამოსთანაც დაგჭირდება.“
ტასტები
იტალია - ახალი ზელანდია 10:68, ინგლისი - სამხრეთი აფრიკა 37:21, შოტლანდია - ავსტრალია 22:23, ესპანეთი - ტონგა 13:28, საფრანგეთი - სამოა 52:8, უელსი - არგენტინა 24:20, ირლანდია - კანადა 52:21, რუმინეთი - აშშ 23:10, რუსეთი - ზიმბაბვე 19:15, გერმანია - ურუგვაი 24:21.

ლევან ცინცაძე

ფეხბურთი



ჩვენი გუნდის ნამდვილი სახე მოლდოვასთან შეხვედრაში გამოჩნდებოდა - განაცხადა წლევენდელი სეზონის ბოლო შესარჩევი მატჩის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების სლოვაკეთთან შეხვედრაში მარცხის შემდეგ რაღაცას ვსწავლობთ, ყოველი თამაშის შემდეგ რაღაც ახალი უნდა შევიძინოთ. მეტად უნდა ვიზრუნოთ ბურთის შენარჩუნებაზე, დაცვისა და შეტევის სისტემების

საქართველო - მოლდოვა 1:1 (1:0)
გოლები: ყაზაიშვილი; გაცკანი.

როცა დაკარგულ ქულებზე ვსაუბრობთ, ისიც ვიკითხოთ: რატომ უნდა მოგვეყოფოდა გუნდის აუტსაიდერად მიჩნეული მეტოქისთვის, ვითომ დავიმსახურეთ?!

მოგესხებიან, დენტრისპირელებთან ძველი ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი. როცა მათთან ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, უპირველესად, 1994 წლის 7 სექტემბერი გვახსენდება, როცა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი ოფიციალური დუელი თბილისში სწორედ მოლდოველებთან დავთმეთ - 0:1, სულ კი თანაბარი ბალანსი გვაქვს: 4 მოგება, უკვე 3 ფრე და 4 ნაგება. ასე რომ, ჩვენი ოპტიმიზმი მთლად საფუძვლიანი არ ყოფილა, რაც ამჯერადაც დადასტურდა.

დეტალებით რომ არ მოგაწყინოთ თავი, მოკლედ მოვჭრი. არასასურველი

ესაა ჩვენი გუნდის ნამდვილი სახე?!

შედეგი, უპირველესად, მწვრთნელთა ტაქტიკურმა ჩივილმა განაპირობა. უნდა ვალიაროთ, რომ იგორ დობროვოლსკიმ პირნიდან დაჯაბნა კოლეგა როგორც სასტარტო შემადგენლობის შერჩევისას, ისე ცვლილებების განხორციელების დროს.

კიდევ უფრო უარყოფითად უნდა შეფასდეს თვით მინდორზე განვითარებული მოვლენების მთავარი გამომწვევი ნაკიკაცარი. როცა ვითომ სუსტი სტუმარი სათამაშო დროის უმეტეს ნაწილს შენს ნახევარზე გაატარებს და, რომ იტყვიან, ბურთს დაგიმაღლავს, ძნელია დადებით ტენდენციებზე ისაუბრო. ალარაფერს ვამბობ ცალკეულ ფეხბურთელთა კვალიფიციურობაზე. მართლაც, მაშინ, როცა ნორმალურ კლუბში მხოლოდ ანაწილად გამოდის და ტრავმის გამო ისიც ვერ ეხმარება პარტნიორებს, მოსკოვის „დინამოსა“ და „ზენიტში“ გამობრძანებული ეპურეანუს, აგრეთვე „როსტოვის“ ნახევარდაცვის ბურჯის, საპასუხო გოლის ავტორის გაცკანის ფაქტორი დამატებით მნიშვნელობას იძენს. ავი იმოქმედა კიდევ.

სამწუხაროა, რომ ისევ მინორულ ნოტზე გვიწევს სანაკრებო პაუზის გამოცხადება. ვიმედოვნებთ, 24 მარტამდე, როცა სერბეთი გვეწვევა, სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ წლევენდელი გაკვეთილებიდან.

ავსტრია - ირლანდია 0:1, უელსი - სერბეთი 1:1.

საქართველო მდგომარეობა

4 ტურის შემდეგ: ირლანდია - 10, სერბეთი - 8, უელსი - 6, ავსტრია - 4, საქართველო - 2, მოლდოვა - 1 ქულა.
გიორგი შოთაძე

ძიულო



ბექა ლვინიაშვილის მორიგი მსხვერპლი

უეაღუსი სინჯის ჯილდოებით

ოქროს დუბლი - ასეთი შედეგით დაასრულა ასპარეზობა თელავში გამართულ 23-წლამდელ ძიუდოსტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კობა მჭედლიშვილი (81) და ბექა ლვინიაშვილი (90) ავიდნენ. ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზორმა მჭედლიშვილი სუთიდან სამი შესვენდრა იპონებით მოიგო: მოლდოველი ნიკონ ზაბოროსციუსის დამარცხებას 3 წუთი მონადობა, შვეიცარიელი ფლორინ ჟირარდოს 4 წუთში ჯერ ვაზარი აართვა, მერე იპონი მიაყოლა. რუსეთელ აბას აზიზოვთან მეოთხედფინალში ვაზარი იკმარა, ნახევარფინალში პოლანდიელი იესპერ სინკსაც ქულებით სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი იტალიელი ანტონიო ესპოზიტო ვაზარ-იპონით დამარცხდა.

ბექა ლვინიაშვილი 5-დან 4 შესვენდრაში მიაღწია წმინდა გამარჯვებას.

პირველ წრეში უკრაინელი ვიქტორ მაკუსა აბურთავა, მისი ბედი გაიზიარეს ბელარუსმა ვიქტორ კლიაფუსაუსმა და სლოვენელმა მიჰაელ ზგანკმა. ტაბაზე ბექებით გაკვრას გადაურჩა ახალგაზრდებში ევროპის სერბი ორგზის ჩემპიონი ნემანია მაილოვი - ქართველმა ფალავანმა მას ვაზარ-იუკოთი მოუგო, ფინალში კი მეორე ბელარუსი იაპორ ვარაპაეუც იპონით დამარცხდა.

გივი ბაგვა

საგო

გულბერული ალაფით

სოფიაში დამთავრდა სამბისტა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავანებმა ორ-ორი ოქრო-ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ვახტანგ ჩიღრაშვილის (57) წარმატება უნდა აღინიშნოს - ქართველი სამბისტი ზედიზედ მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ასევე, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა პაატა ლვინიაშვილი (90). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილები დაიკავეს ლევან ნახუცრიშვილმა (74) და ნიკოლოზ კუციამ (82), ხოლო ევროპის წლევენდელი ჩემპიონი ნინო ოძელაშვილი (72) და ელენე ქეპაძე ((80), ზურაბ ოდოშაშვილი (62), დავით ლორიაშვილი (100) და ბექა ბერძენიშვილი (+100) მესამე ადგილებზე გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე იყო რუსების შემდეგ.



ვახტანგ ჩიღრაშვილი

თამაზ ნარიშანიძე

ჭადრაკი

„ნონა“ ტიტული დათმო



ბათუმის „ნონა“

ბათუმის საჭადრაკო კლუბი „ნონა“ 2014-2015 წლების ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებულაა. ამჯერად იგი მესამედ მონაწილეობდა მსგავს შეჯიბრებაში, რომელსაც სერბულმა ნოვო სადმა უმასპინძლა. ზღვისპირელებმა წინა წლების შედეგების გაუმჯობესება ვერ შეძლეს - მეორე ადგილს დასჯერდნენ. „ნონა“ ხუთი ტურის შემდეგ სამი მოგებით, თითო ფრე და მარცხით მეორე ადგილზე იყო. უდანაკარგოდ მსგავსი ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი „მონტე კარლო“ ლიდერობდა. ბოლო ორ ტურში ვარსკვლავებით დასუნძულმა ამ გუნდმა (პოუ ივანი, ანა და მარია მუზიჩუკები, პია კრამლინგი, ელმირა სკრიპჩენკო) ორივე მეტოქე დაამარცხა, „ნონამაც“ ორივე საფინიშო ორთაბრძოლა მოიგო - ჯერ იტალიის „ფიშერს“ სძლია 2.5:1.5, შემდეგ მსგავსი ანგარიშით „მოსკოვს“ აჯობა. საბოლოოდ შვიდი შესვენდრიდან 14 ქულით ჩემპიონობა „მონტე კარლომ“ მოიპოვა, ხოლო 11 ქულით მეორე ადგილზე ბათუმის „ნონა“ გავიდა (ნანა ძაგნიძე (7 შესვენდრიდან) - 4, ნინო ზაცი-აშვილი (7) - 3.5, ბელა ხოტენაშვილი (7) - 4, სალომე მელია (6) - 4.5, მირანდა მიქაძე (1) - 1 ქულა, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე). 10 ქულით მესამე ადგილი „იურგას“ (რუსეთი) ერგო. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განიღდა: 1. „ალკალიდი“ (მაკედონია, 12), 2. „მედნი ვსადნიკი“ (რუსეთი, 11), 3. „მოსკოვი“ (რუსეთი, 11 ქულა).

ლავა დიდა



ეპიტაფია

განმანათლებელი

პროფესორ ზურაბ ფორაქიშვილის ხსოვნას

ქვეყნად არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობითა და ადამიანური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვეს მეგობრებისა და საზოგადოების მესხიერებაში.

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ფორაქიშვილი.

წელს 25 აგვისტოს ზურაბს შეუსრულდა დაბადებიდან 90 წელი. მძიმე და დასანანი ისაუბრო წარსულში ისეთ ადამიანზე, როგორც ზურაბ ფორაქიშვილი იყო. სულ რამდენიმე კვირაა გასული მას მერე, რაც ის ჩვენს შორის აღარ არის.


ყველა, ვინც მას იცნობდა, განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწინებებით იხსენებს. მიზიდველ და კეთილ მოსურველ გარეგნობასთან ერთად, იგი ყველას ხიბლავდა თავისი ღრმა ერუდიციით, შარმით, იუმორის გამორჩეული გრძობით, სტუმართმოყვარეობით, ხელგამწილობით და ახლობლებისათვის გაჭირვებაში მხარში დგომის უღალატო თვისებით.

ჩვენ შევეცდებით, ზოგადად მაინც გაავსანოთ მკითხველს ზურაბ ფორაქიშვილის პიროვნება, თუმცა ბევრი იცნობდა მას სრულიად საქართველოში, ბევრმა მძიმედ განიცადა ამ ცხოვრებიდან მისი წასვლა.

ზურაბ ფორაქიშვილი დაიბადა 1926 წლის 25 აგვისტოს ქალაქ პიატიგორსკში, სადაც დედამისი დასასვენებლად იმყოფებოდა. მისი მამა ირაკლი დავითის ძე ფორაქიშვილი, მონპელიეს (საფრანგეთი) უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს მედიკოსების მრეწველობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. დედას, ნინა კონსტანტინეს ასულ გუგუშვილს, კლასიკური გიმნაზიის განათლება ჰქონდა მიღებული.

ზურაბ ფორაქიშვილი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც გამოიარეს „ბოლშევიკების“ რეპრესიები. 11 წლის იყო, როცა მამამისი 1937 წლის დახვრიტის, დედას კი მიუსაჯეს 10 წელი „სოლოვკების“ ბანაკში. ზურაბი და მისი უფროსი ძმა გიგა ბავშვთა სახლში უნდა გადარჩებოდნენ, მაგრამ მათ აღზრდაზე პასუხისმგებლობა დეიდამ, ქალბატონმა ანამ იკისრა. დაბოლებული ბავშვები და დეიდა მშვენიერი ბინიდან სარდაფში გადაასახლეს. ბავშვების გადარჩენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნათესავის, ცნობილი მეცნიერის ნიკო კვეზერელი-კობაძის ოჯახს, განსაკუთრებით კი მის მეუღლეს პედიატრს ეგგენია ლეონტიევას, „ძალუ ჟენისას“, როგორც მას დაობლებული ბავშვები მიმართავდნენ.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, 1946 წელს ზურაბ ფორაქიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის საშუალო სკოლა. მას სურდა განათლების გაგრძელება საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში (ე.წ. მგიმო), მაგრამ რეპრესირებული ვაჭიშვილი ამ ინსტიტუტში არ მიიღეს. 1951 წელს ზურაბ ფორაქიშვილმა დაამთავრა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

ორ წელიწადში კი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, და მასთან ერთად შეიცვალა ფორაქიშვილების ოჯახის ილბალიც. დაბრუნდა „სოლოვკებიდან“ დედა, უფროსი ძმა გიგა ფორაქიშვილი სამედიცინო პროფესიას გაჰყვა.

მიუხედავად გადატანილი ტრავმებისა და გულსტკივილისა, არც ერთი წუთით არ დაუკარგავს ზურაბ ფორაქიშვილს სამშობლოს სიყვარულისა და ნდობის გრძობა, მთელი თავისი ცხოვრება მან საყვარელი საქართველოს სამსახურს მიუძღვნა.

ფართო განათლებისა და დიდი ნიჭის მქონე ადამიანის ზურაბ ფორაქიშვილის მოღვაწეობის ასპარეზი დიდი იყო. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ ინსტრუქტორად და სექტორის გამგედ, შემდეგ კი - მეცნიერების, კულტურის და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების გამგის მოადგილედ; საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, თსუ პრორექტორად და რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგედ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საქალაქო ინსტიტუტის რექტორად, კოლეგიის წევრად. რამდენი კეთილი საქმე დაასრულა, რამდენი უნივერსიტეტი და სკოლა ააშენა სრულიად საქართველოში, რამდენი სპეციალისტი აღზარდა და საერთაშორისო ასპარეზზე სამშობლო ასახვედა.

პირად ცხოვრებაშიც ილბიანი გამოდგა ზურაბ ფორაქიშვილის ბედი. მან ბედნიერი და სანატორი ცხოვრების გზა განვლო მეუღლესთან, თსუ დოცენტ ვიქტორია ბეკუნოვასთან, უღამაზეს და კეთილშობილ ქალბატონთან, რუსი ინტელიგენციის ქვამარიტ წარმომადგენელთან, რომელიც ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში მუშაობისას გაიცნო, და რომელსაც ახლა უფლის წიაღში მარადისულად შეუერთდა. დიდად

გაზატი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში ურთიერთობა საერთო მსუხარებას პროფესორ ზურაბ ფორაქიშვილის გარდაცვალებას გამო და ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის თხოვნით განემორაბოთ ვაჭაძე ვაჭაძე მის ნიშნულზე.

ამაყობდა ქალიშვილის, პროფესორ ნინო ფორაქიშვილის სამეცნიერო და საერთაშორისო წარმატებებით.

ვაჭკაცი ადამიანი იყო ბატონი ზურაბი. თბილისში 1978 წელს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საპროტესტო აქციების დროს იგი ერთადერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი აღმოჩნდა, რომელიც რუსთაველის გამზირზე შუაში ჩაუდგა სტუდენტთა დემონსტრაციას და გამოძახებული ჯარის კორდონს მანამ, სანამ დაეშარდ შევარდნაძე კრემლის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. იმ დღეს მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება.

1997 წლის 26 აგვისტოს საქართველოს განათლების სისტემაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი საქართველოს პრეზიდენტმა ლიჩხვაძის ორდენით დააჯილდოვა.

2001 წლის 15 აგვისტოს კი ქ. თბილისში დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მართლწესრიგის განმტკიცების, მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულების, 1989-90 წლებში ცხინვალის რეგიონში წარმოშობილი ლოკალური კონფლიქტის დროს დამანაშავეობის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლების ოჯახების მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერაში პრაქტიკული ზომების გატარების და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მუშაობის განხორციელების საქმეში წინააღმდეგობის შეტანისთვის ზურაბ ფორაქიშვილი საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ამ ორდენით მეტად ამაყობდა ბატონი ზურაბი, რადგანაც ამით აღინიშნა მისი წვლილი ცხინვალისა და სამცხე-ჯავახეთში რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში, რაც ხშირად პირადი უსაფრთხოების შეუპოვრებაში მიმდინარეობდა.

ზურაბ ფორაქიშვილის სახით საქართველოს მართლაც ერთგული, პატიოსნებით სავსე, თავის საქმეზე და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი დააკლდა.

- მარიამ თევზაძე პროფესორი, რამაზ ლომინაძე პროფესორი, თინათინ მარბალიძე პროფესორი, მარინა ვიკსა პროფესორი, ნუსუ მიტკაიძე პროფესორი, თეიმურ შაშიაშვილი გელათის მეცნი. აკადემიის წევრი, თეიმურ მამაცაშვილი დიპლომატი, მამი ოქიტაშვილი ფურნალისტი.

სანთელი

სირანა სამხარაძე-კობაძის გახსენება იყო და შეუერთდა ზეციურ მარადიულობას

საქართველოში იყო თაობა, რომელმაც ქვეყნის ისტორიაში უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე განათლების აღმშენებლობისთვის.



ქვეყნის წარსულის, დღევანდელი მოღვაწისა და მომავალი თაობის სწორად აღზრდისთვის საჭიროა, გავიხსენოთ განათლების ცნობილი მოღვაწენი, რომლებიც ქმნიდნენ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებისთვის ქვამარიტ პროფესიულ განათლების სისტემას.

...რომელიც დღე გავიდა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, რამდენიმე თაობის გულანთებული აღმზრდელის, უკეთილშობილესი ქალბატონის სირანა სამხარაძე-კობაძის გარდაცვალებიდან. სიტყვებით ვერ აღწერ იმ დიდ ტკივილსა და მწუხარებას ოჯახისათვის, მიუხედავად იმისა რომ 91 წლის ხანდაზმული ქალბატონი ბრძანდებოდა, ყველას დასწყვიტა გული, იყო და შეუერთდა ზეციურ მარადიულობას.

ასეულობით ადამიანი მობრძანდა უკანასკნელ გზაზე მის გასაცემად, ჩამოვიდნენ თბილისიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები. დაკრძალვის დღეს მრევლმა დაიტირა და პატივი მიიღო მის ნათელ სსოვნას.

ქალბატონი სირანა გამორჩეული პედაგოგი და აღმზრდელი ბრძანდებოდა. გულკეთილი, მკაცრი და სამართლიანი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე; საოცარი ალღო, სწორი პედაგოგიური გამჭრიახი ხედვა და თავისებური მეთოდი ჰქონდა მოწაფეებისადმი, სამაგალითოდ იცხოვრებდა და მისაბამი მაგალითი იყო ყველასათვის, სითბო და პატივისცემა დატოვა ადამიანების მესხიერებაში.

ქალბატონმა სირანამ თავის მეუღლესთან, სოფლის მეურნეობის დარგის ღვაწლმოსილ ორგანიზატორთან, ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანის თავკაცთან, ბატონ გრიგოლ კობაძესთან არაჩვეულებრივი, სანაქებო, შესანიშნავი ოჯახი შექმნა, იგი ყოველთვის გვერდით ედგა ოჯახს, კახურ შინა და ლაზარს მატებდა მის სიძლიერეს, უსაზღვროდ დიდ პატივს სცემდა და ალამაზებდა მის ცხოვრებას. მათ ოთხი ვაჭიშვილი, ცნობილი ადამიანები აღზარდეს სამშობლოს.

ბონდო - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ დამაარსებელი და მისი უცვლელი პრეზიდენტი. 30 წლის განმავლობაში ათეულობით გამოჩენილი ქართველი მოღვაწის საიუბილეო წიგნებისა და პროექტების ავტორი. დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიკის პრემიების ლაურეატი, მარტყოფისა და იყალთოს საპატიო მოქალაქე, „მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა“ და „მშვიდობის დროის“ კავალერი.

ივანე (ვანო) - ცნობილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე. წლებში განმავლობაში ქ. რუსთავის „რელასი“-ის გენერალური დირექტორი. შემდგომში კახეთის ელექტროკომპანიის გენერალური დირექტორი, დამსახურებული ენერგეტიკოსი. ამჟამად საგარეჯოს ენერგეტიკის სამსახურის უფროსია.

გოდერძი - სოფლის მეურნეობის დარგში ეწევა სამწარმოო საქმიანობას.

ნოღარი - ბიზნესმენი.

ოთხივე ვაჭიშვილმა არაჩვეულებრივი ქართული ტრადიციული ოჯახი შექმნა. მართალია, ქალიშვილი არ ჰყავდათ ქალბატონ სირანას და ბატონ გრიგოლის, მაგრამ შექმნილმა ქალიშვილებმა - ერთი მეორეზე შესანიშნავმა რძლებმა კობაძეების დიდი ოჯახი დაამშვენეს. მათ დატოვეს შვიდი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი, ძალზე ძლიერი, სულიერად მდიდარი ოჯახები. შვილიშვილებიდან მინდა აღვნიშნო ნინო კობაძე (ვანოს ქალიშვილი) პროფესიით იურისტი, მრავალი უცხო ენების მცოდნე, ამჟამად ქ. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორანტი. რამდენიმე თვეში დაიცავს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. შვილთაშვილებში ყველაზე უფროსი მარიამ კობაძე (ბონდოს შვილიშვილი) თბილისის საჯარო სკოლის VI კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა.

ქალბატონო სირანა... მსუბუქი იყოს თქვენს გულზე პეშვით დაყერილი მშობლიური კახეთის მიწა, ჩვენი ლოცვა და ანთებული სანთლები უფლის გზაზე კელაპტრად წაგიდევნებოთ, იქ, სადაც თქვენი მეუღლე განისვენებს. თქვენ ჩვენთვის, ყველასთვის მაგალითი იყავით, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თქვენი სახელი უკვდავია ან და მარადის.

ვახტანგ ბაჩიანიძე, ექიმ-ოფთალმოლოგი სახელმწიფო მრჩეველი. ნოემბერი 2016 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ სულხან-საბას ძ. №3. 29 3-13-34; 599 797679



# გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თიფთაძე, დემურ მიძაძე, დათო დათოშვილი, ბაიროზ ბაღდავაძე, გონდო ქოზულაია, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახანი, თამაზ ყაჭიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუშუბერი გონაშვილი, რევაზ არველიანი, გიგა მახარაძე, ომარ ცაავა, გიგა რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის ცნობილ მწიგნობარს, თბილისის ერთ-ერთი წამყვანი სამწიგნობლო ტრესტის ყოფილ თავკაცს, პოლიტიკური ინსტიტუტის საესტრადო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელს, დედაქალაქის კოლორიტსა და საამაყო პიროვნებას, ბატონ

მერაბ მახარაძეს.

## AEROSMITH საქართველოში ჩამოვა



საპარტიველოში მაისში ამერიკული ბენდი Aerosmith კონცერტს გამართავს. როგორც ჯგუფის ვებ გვერდზე განთავსებულ ოფიციალურ ინფორმაციაში წერია, Aerosmith კონცერტს 20 მაისს, ბათუმში „Black See Arena“-ზე გამართავს. Aerosmith საქართველოს ევროპული ტურნეს ფარგლებში ეწვევა.

## შოკოლადი გაკვირდება

ლატინური ამერიკის ქვეყნებში გვალვა კაკაოს ხეების დაავადების მიზეზი გახდა. ეს ფაქტი კი მსოფლიოში კაკაოს ხარისხზე და რაოდენობაზეც აისახება. ანალიტიკოსები შოკოლადის დეფიციტს პროგნოზირებენ, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში შოკოლადზე მოთხოვნა გაიზარდა.

კაკაოს ხეების დაავადება აფრიკის ქვეყნებში არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, აფრიკაში მოსავლის შემცირება მოსალოდნელი არ არის.



## ანაკლოტები

ბოლო დროს ჩვენში ისეთი ამინდებია, რომ მათ პროგნოზს მხოლოდ დედის გინებით გადმოსცემენ.

\*\*\*  
- მამიკო, მამიკო, რა არის „ბანდფორმირება“?  
- აბა, როგორ აგისხნა, შვი-



ლო?! - პასუხობს საგონებელში ჩავარდნილი და თვალჩაღურჯებული მამა.

- აი, გახსოვს, წუხელ სახლში მოსვლა ცოტა რომ შემაგვიანდა, თან ოდნავ შეზარხოშებული რომ ვიყავი?

- კი, მახსოვს.  
- ჰოდა, ვინ დამესხა თავს შემოსასვლელში და ვინ მირტყა ცოცხლი!

- დედა და ბებიაშ!  
- აი, შვილო, დაიმახსოვრე: „ბანდფორმირება“ ამას ჰქვია...

\*\*\*  
აბიტურიენტი ქიმიაში გამოცდაზეა, მაგრამ ბევრი არაფერი იცის და უკვე ცხადია, რომ ნი-

შანს ვერ მიიღებს, გამომცდელიც ვითომ ხუმრობით ეკითხება:

- ახალგაზრდაც, იქნებ გაზიანი წყლის ფორმულა მაინც მითხრათ? გამწარებელი აბიტურიენტი იქედნურად ეკითხება:

- პატივცემულო, რომელიმე სიროფით გაინტერესებთ თუ უსიროფოდ?

\*\*\*  
- იცით, გოგოებო, რამდენიმე დღის წინათ ძილში სექსი მქონდა! თანაც ვისთან იცით?! თვით ფილიპ კირკოროვთან! იმის მერე ჩემი ქმარი მას ორგანულად ვერ იტანს! - ეჭორავება ახალგაზრდა ქალბატონი დაქალაქს.

- კი, მაგრამ, მაღონა, შენი ქმარი რა შუაშია?

- როგორ თუ რა შუაშია?! სიზმარი ხომ მაგან ნახა!...

\*\*\*  
ორი უსახლკარო ტიპი ნაგვის ბუნკერთან ზის და საუბრით თავს ირთობს:

- გაიგე, ძამიკო, ქვეყანაში კრიზისი იწყება, ლარი უფასურდება, - ამბობს პირველი.

- რაო, კრიზისი, ვითომ რას ნიშნავს? - ეკითხება მეორე.

- რას ნიშნავს და იმას, რომ, მაგალითად, ნაცნობი ოლიგარქები გყავს?

- არა, არა მყავს.  
- ჰოდა, აწი გეყოლება!

## შავპრემიის უპირატესობა აშკარაა

ეს ამბავი ვინმეს შეიძლება, გულს დიდად არ მოეფინოს, მაგრამ ქალებს, თურმე, შავგვრემანი მამაკაცები უფრო მოსწონთ.

ბრიტანელ მკვლევართა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ქალებს შავგვრემანი მამაკაცები თავიანთ ქერთაში ან თანამომკმებზე მეტად იზიდავენ, თუმცა კი მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა 18 პროცენტი ჭკუას კარგავს თავ-გადახორცილ ანდა, სულაც, მელოტ კაცებზე.

ჭალარა მამაკაცებს ქალბატონების ხმათა 13 პროცენტი ერ-გო, ქერთაშიანებსა და მწითურებს კი მხოლოდ 7 პროცენტი.



## წყლის კალა



ადამიანის სხეული 70 პროცენტით წყლისგან შედგება, მაგრამ ის ყოველთვის ვერ გრძნობს, თუ როდისაა საჭირო მისი მარაგის შევსება. სშირია შემთხვევები, როცა წყურვილის შეგრძნებას ადამიანები... მოშიებაში ურევენ. გაუწყლოების სხვა შედეგებია ცუდად გახდომა, თავის ტკივილი.

დიეტოლოგები გვიჩვენებენ, ჩვევად შემოვიღოთ დღის განმავლობაში რვა ჭიქა წყლის დალევა. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ წვნიან სკვებს, რომელიც, ცხადია, ცხიმოვანი არ უნდა იყოს. კიდევ ერთი რჩევა ისაა, რომ ჭამის წინ დალეული ჭიქა წყალი საკვების ოდენობის შემცირების საშუალებას მოგვცემს.

სხვათა შორის, რაც უფრო კარგადაა ორგანიზმი წყლით უზრუნველყოფილი, მით უკეთესია ნივთიერებათა ცვლა (რაც აუცილებელია გახდომის დროს). გარდა ამისა, ეს კუჭის შეკვრის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა.

## ყველაზე ლამაზები

ისტატისტიკური მედიცინის ცენტრის სპეციალისტების მიერ ექვსი ქვეყნის - საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, ესპანეთის, ტაივანისა და სამხრეთი კორეის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რუსი ქალები მსოფლიოში ყველაზე ლამაზებად აღიარეს.



ეს აზრი გამოთქვა გამოკითხულთა 33 პროცენტმა, მეორე ადგილზე იტალიელები (20 პროცენტი), რეიტინგის მესამე სტრიქონზე კი ფრანგი და ესპანელი მანდილოსნები (15-15 პროცენტი) არიან. ალ-სანიშნავია ისიც, რომ რუსი ქალები ულამაზესებად აღიარა გამოკითხულ რუსეთელთა 85-მა, იტალიელი ქალები 63-მა და ესპანელი ქალები 47-მა პროცენტმა.

უნდა ითქვას, რომ სილამაზის საკვანძო კრიტერიუმებია გამოკითხულთა 55 პროცენტისთვის - გლუვი კანი; 42 პროცენტისთვის - სიმეტრიული სახე; 30 პროცენტისთვის - გარუჯული კანი; 29 პროცენტისთვის - ცისფერი თვალები და 25 პროცენტისთვის - ღია ფერის თმა.

## საქმი იწვარქტის წინააღმდეგ

მამაკაცებში, რომლებსაც სექსუალური კონტაქტები კვირაში ორზე მეტჯერ აქვთ, გულის სწეულებათა წარმოშობა ორჯერ ნაკლებია, აცხადებენ ამერიკელი კარდიოლოგები. გამოკვლევაში ქალები არ მონაწილეობდნენ.



მეცნიერებმა 40-დან 70 წლამდე ათასზე მეტი მამაკაცის სექსუალური კონტაქტები შეისწავლეს, რომლებიც გრძელვადიან გამოკვლევაში მონაწილეობდნენ. რეგულარული სექსუალური კონტაქტების მქონე მამაკაცებს გულის დაავადებით საფრთხე 45 პროცენტით უმცირდება.

## საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქოზულია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიშვილი

599 53-76-16;

ალექო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

რუსლან რუსია

599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაქიძე

514 33-33-24

გამომცემელი:

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა

საჩუქრადღეობად!

რედაქციის მიერ შეუკვე-

თავი მასალები დაიბეჭ-

დება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები,

შესაძლოა, მუდამ არ ემ-

თხვეოდეს რედაქციის პო-

ზიციას. ფაქტების სიზუ-

სტეზე პასუხს აგებენ ავ-

ტორები.

## „საქართველოს რესპუბლიკა“

შენი გაზეთია,

აუცილებლად

გამოიწერა,

იყიდა,

წაიკითხა!



### რეკლამის განყოფილება:

საშუალო - 2.4899; პირი - 2.7098;  
ბრიტანული მიმართება სტრუქტურა - 3.1472;  
100 რუბლი - 3.7825; თურქული ლირა - 0.7631;  
საქართველოს მანათი - 1.4397;  
1000 სომხური დრამი - 5.2090.

### აიონი 15 ნოემბრისთვის

აქტიურობის საქართველო:  
ბანი - ღამე +5, დღე +20  
პირიანი რეკლამა - ღამე -2, დღე +15  
დასავლეთი საქართველო:  
ბანი - ღამე +8, დღე +17  
პირიანი რეკლამა - ღამე +1, დღე +13  
თბილისი: ღამე +9, დღე +17

დაგვიკავით,

მოგვწერით:

ტელ: 293-13-34, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE